შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის

სასწავლო უნივერსიტეტი

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა

თემა: განქორწინება და ქორწინების ბათილობა

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სტუდენტი: **მარიამ ჭამიაშვილი**

ნაშრომის ხელმძღვანელი

პროფესორი **რომან შენგელია**

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია 3

Annotation 4

შესავალი 5

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა.....6

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი.....23

2.1. ქორწინების შეწყვეტა და მისი სახეები.....23

2.2.განქორწინება

სასამართლოში.....32

2.3. განქორწინება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში.....42

2.4. მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულება.....45

2.5. ქორწინების ბათილობა.....49

თავი III. კვლევის შედეგები 54

დასკვნა.....59

გამოყენებული ლიტერატურა.....62

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება განქორწინებას და ქორწინების ბათილად ცნობას, იგი შედგება: შესავლის, დასკვნითი ნაწილის, სამი თავისა და ხუთი პარაგრაფისაგან.

თემის შესავალ ნაწილში ვისაუბრებ საკვლევ პრობლემებზე, კვლევის პრობლემის აქტუალობაზე, კვლევის მეთოდებზე და კვლევის მიზანზე.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია რამოდენიმე ავტორის მოსაზრება, განქორწინებასთან და ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და მოვახდენთ მათი მოსაზრების ანალიტიკურ შედარებას.

მეორე თავში მოვახდენ კვლევის აღწერას, სადაც განვიხილავ ქორწინების შეწყვეტას და მის სახეებს, გნქორწინებას სასამართლო ორგანოს მეშვეობით და განქორწინებას სამოქალაქო მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში ამავე თავში განხილული იქნება მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულება და ქორწინების ბათილობა.

მესამე თავში ვისაუბრებ კვლევის შედეგებზე, კანონმდებლობაში არსებულ ძირითად ხარვეზებზე და დასკვნით ნაწილში, პრობლემის გადაჭრის გზებთან დაკავშირებით დავაფიქსირებ საკუთარ პოზიციას.

Annotation

Master thesis is about divorce and marriage annulment it consists of introduction, conclusion, three chapters and five paragraphs

In the introduction I will talk about the study problem, problems actuality Research methods and targets

The first chapter of the work is discussed various author's opinion, about Divorce, marriage and annulment and I will analyze the comparison

In the second chapter I will discuss the termination of marriage, I will consider the types of divorce by the Court and civil registration. In this paragraph liabilities for the wife's husband and the annulment of marriage.

In the third chapter I will talk about the results of the survey, law deficiencies and In the final part, I'll discuss the opinions to solve the problem

Presented by several professors about divorce and marriage annulment, which are based on analysis I fix my view And I discuss about the problems

The work will discuss the annulment of marriage, Divorce in court and the divorce obligations after divorce.

შესავალი

ნაშრომი ეხება, განქორწინებას და ქორწინების ბათილად ცნობას, იმას თუ როგორ უნდა მოხდეს განქორწინება და რა შემთხვევაში შეიძლება გამოცხადდეს ქორწინება ბათილად. ნაშრომში საუბარი იქნება პრობლემებზე რომელსაც ვხვდებით კანონმდებლობაში. ყოველივე ეს მიმოხილულია როგორც საქართველოს ასევე უცხო ქვეყნის მაგალითზე.

საკვლევი პრობლემა: განქორწინება და ქორწინების ბათილად ცნობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუქციაა სამოქალაქო სამართლის, მიუხედავად იმისა, რომ განქოეწინება უძველესი დროიდან მომდინარეობს დღემდე ვაწყდებით რიგ პრობლემებს. დროის სხვადაასხვა მონაკვეთში სხვადასხვა პრობლემა იჩენდა თავს, თუმცა დღეს დღეობით ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს იმის გარკვევა თუ რა ხდება მაშინ როდესაც ცოლი სხვა კაცისგან არის ორსულად, შეუძლია თუ არა ქმარს მოითხოვოს განქორწინება. ასევე კანონმდებლობაში პრობლემებია მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულებასთან დაკავშირებით მაგალითად: კანონმდებლობის თანახმად პირს არ ეკისრება განქორწინების შემდეგ შრომისუუნარო მეუღლის რჩენის ვალდებულება თუ მეუღლე დაქორწინებამდე იყო შრომისუუნარო.

კვლევის პრობლემის აქტუალობა: განქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების სწორი სამართლებრივი რეგულაცია და სიღრმისეული ანალიზი მეტად აქტუალურია, როგორც საზოგადოებისთვის ასევე სახელმწიფოსთვის, რადგან

მსოფლიოში ისე როგორც საქართველოში დაიზარდა განქორწინების რიცხვი, ამას ცხადყოფს სტატისტიკური მონაცემები, რომლის თანახმადაც 2015 წლიდან 9119 წყვილი განქორწინდა. აქედან გამომდინარე, კანონი სწორად უნდა იყოს რეგულირებული რადგან თავიდან იქნას აცილებული პრობლემები რომელიც განქორწინებას ან ქორწინების ბათილად ცნობას შეიძლება ახლდეს თან.

კვლევის მეთოდები: ნაშრომში გამოყენებული იქნა, კვლევის შედარებით აღწერილობითი მეთოდი და კვლევის ისტორიული მეთოდი.

კვლევის მიზანი: ნაშრომის ძირითად მიზანს წარმოადგენს განქორწინების და ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა და გამოვლენილი პრობლემების მოგვარება.

თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

საოჯახო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს განქორწინება და ქორწინების ბათილად ცნობა, აქედან გამომდინარე ბევრ ავტორს საკუთარ ნაშრომში დაცული ააქვს ცნობა განქორწინებას და ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით.

გიორგი ნადარეიშვილს თავის ნაშრომში „ძველი ქართული საოჯახო სამართალი“ დაცული აქვს ცნობები განქორწინებასთან დაკავსირებით, მაგალითად როგორ ხდებოდა განქორწინება ქრისტიანული ეკლესიის დოგმის მიხედვით, როგორ ხდებოდა განქორწინება ადრეფეოდალურ საქართველოსა და სომხეთში, როგორ ხდებოდა განქორწინება ბიზანტიური სამართლის ძეგლების მიხედვით, იგი გვაწვდის ცნობებს მრუშობაზე როგორც განქორწინების მოტივზე ძველი ქართული სამართლის მიხედვით, საუბრობს მეუღლის სნეულებაზე როგორც განქორწინების საფუძველზე,იგი აღნიშნავს რომ განქორწინების საფუძველი იყო ასევე ბერად ან მონაზვნად აღკვეცა, სოდომური ცოდვა, ქმედება მეუღლის სიცოცხლის წინააღმდეგ. გიორგი

ნადარეიშვილი აღწერს განქორწინებას ვახტანგის სამართლის წიგნებისა და მეთვრამეტე საუკუნის სასამართლო პრაქტიკების მიხედვით.[1]

გიორგი ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ ქორწინებისა და განქორწინების შედარებითი თავისუფლება არსებობდა ძველ რომში, სხვა ძველი ქვეყნებისგან განსხვავებით. რომაული კანონმდებლონის მიხედვით განქორწინებისთვის საკმარისი იყო ერთ-ერთი მხარის თუნდაც მხოლოდ ქალის სურვილის გამოცხადება ქორწინების შეწყვეტის შესახებ, აქედან გამომდინარე რომაელებს უფრო ფართო შეხედულება ქონდათ ქალებზე ვიდრე ბრძნებს. ამგვარად განქორწინების სიმარტივიდან გამომდინარე ქორწინება გადაიქცა კომერციულ გარიგებად. ცნობილია რომ ციცერონმა თავისი პირველი ცოლი მხოლოდ იმიტომ მიატოვა რომ ახალი ცოლის მზითვებით ვალები გაესტუმრებინა. ავტორი აღწერს რომში ერთ ერთი ქალის დასაფლავებას რომელსაც სიცოცხლეში 22 ქმარი გამოუცვლია ხოლო ამ ქალის ქმარს 24 ქალთან ქონია ქორწინება.[2]

ავტორის თქმით ავგუსტეს ეპოქაში მონათმფლობელური სახელმწიფო გადამწყვეტ ზომებს იღებდა, რომ გაემაგრებინა ოჯახი. ოჯახში ზნეობის განმტკიცების მიზნით ქმარი ვალდებული გახდა დაესაჯა მრუში ცოლი წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ დაისჯებოდა. ავგუსტეს ეპოქის კანონმდებლობამ ხელი შეუშალა მაგრამ ვერ აღკვეთა რომაული ოჯახის ლპობის პროცესი[3].

რომში განქორწინებასთან დაკავსირებით შეხედულება იმდენად ძლიერი იყო, რომ ქრისტიანულმა რელიგიამაც კი ვერ შეძლო მისი მთლიანად აღმოფხვრა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ.

გიორგი ნადარეიშვილი თავის ნაშრომში „ძველი ქართული საოჯახო სამართალი“ აღწერს ქრისტიანული რელიგიის გავლენას განქორწინების აკრძალვაში. მისი თქმით ქრისტიანული მოძღვრების თანახმად ქორწინება შეიძლება შეწყდეს

[1] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 177
[2]გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 180-184

მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ, სიკვდილის შემდეგაც არ ისპობა ქორწინება, აღნიშნავს ავტორი, რადგან ეკლესია დიდ წინააღმდეგობას უწევდა განმეორებით ქორწინებას. ქრისტიანულმა რელიგიამ შეიმუშავა განქორწინების დოგმები ანუ რა შემთხვევაში შეიძლებოდა განქორწინება ესნია: მრუშობა და ქალის მიერ მუცლის მოშლა. ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ ეკლესია მეშვიდე საუკუნემდე აბორტთან დაკავშირებით მხოლოდ საეკლესიო სასჯელს აწესებდა, ხოლო შემდეგ არამარტო განქორწინების მიზეზად იქცა, არამედ ამ დანაშაულის ჩამდენი ქალი სიკვდილით ისჯებოდა.[4]

ნადარეიშვილის, ძველ ქართულ საოჯახო სამართალში, საუბარია ასევე თუ როგორ ხებოდა განქორწინება ძველ ფეოდალურ სახელმწიფოებში. იგი აღნიშნავს, რომ განქორწინების წესში ნათლად აისახება ქალის დამცირებული მდგომარეობა. კანონმდებლობა აღნიშნავდა რო მრუშობა იყო განქორწინების მთავარი მიზეზი, მაგრამ ერთმანეთისგან განასხვავებდნენ ქალისა და კაცის მრუშობას. მამაკაცი მხოლოდ მაშინ ჩაითვლებოდა მრუშად თუ ურთიერთობა ექნებოდა არათავისუფალ პირთან. ქალი კი ყველა შემთხვევაში ჩაითვლებოდა მრუშად არაქვს მნიშვნელობა ვისთან ექნებოდა მას კავშირი თავისუფალ თუ დაქორწინებულ პირთან[5]. ავტორი საუბრობს ასევე განტევებაზე , რომ განქორწინებამ განიცადა განვითარება განტევების სახით. ამ უკანასკნელში იგულისხმება მამაკაცის მიერ ცოლის გაგდება, თუ იგი, ცოლს თავის შეუფერებლად მიიჩნევს.

განტევება და განცალკევება წარმოადგენენ განქორწინების განვიითარებულ სახეებს.

ავტორი აღწერს ასევე მიზეზებს თუ რატომ ხდებოდა განქორწინება ძველ გერმანულ სახელმწიფოში, ანუ რა ქმედება შეიძლება გამხდარიყო განქორწინების საფუძველი. ძველი გერმანული სამართლის მიხედვით ქორწინების მთავარ მიზანს წარმოადგენდა მემკვიდრის გაჩენა, ამიტომ, თუ ქალი იყო უნაყოფო მამაკაცს

---

[5] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 186-189

ნებისმიერ შემთხვევაში შეეძლო მოეთხოვა განქორწინება, მაგრამ, თუ კაცი იქნებოდა უნაყოფო ქალს მაინც არ ქონდა განქორწინების მოთხოვნის უფლება

ნადარეისვილი საჭირო მიმოხილვის შემდეგ უბრუნდება ქართულ სინამდვილეს და აღწერს წინაფეოდალურ პერიოდს, თუ როგორ ხდებოდა განქორწინება ყველა ნახევრადმონათმფლობელურ, ნახევრადპატრიაქალურ სახელმწიფოში. მისი თქმით, გარკვეულ პერიოდში მაინც უნდა არსებულიყო საცოლის ყიდვა, იგი უნდა არსებულიყო რათქმაუნდა, ანტიკური ეპოქის საქართველოშიც. ასეთ საზოგადოებაში სადაც ცოლს ყიდულობდნენ განქორწინების სახე იქნებოდა ცოლის გაგდება.[6]

წინა ქრისტიანულ საქართველოში არ მოიპოვება ცნობები განქორწინებასთან დაკავშირებით, რაც შეეხება ქრისტიანულ ფეოდალურ სახელმწიფოს აქ გარკვეული ცნობები მოიპოვება განქორწინებასთან დაკავშირებით, მაგალითად ავტორი აღწერს გარკვეულ ქმედებას მოღალატე ქალის ვირზე შესმას, რომელიც შუშანიკის წამებაშიც არის ნახსენები როდესაც ქმარს შეეძლო მოღალატე ცოლი შეესვა ვირზე და მისთვის ფსიქოლოგიული ზიანი მიეყენებინა. ვირზე შეიძლება შეესვათ ქალი თუ იგი ავხორცობაში ან მის ხელშეწყობაში იყო მხილებული[7]

ავტორის თქმით, სხვა ქვეყნებშიც არსებობდა მსგავსი სასჯელი, მაგალითად იტალაიში მრუშ ქალს აშიშვლებდნენ ქალაქის მოედანზე. ძველ ლაციუმში კი მრუშ ქალს აიძულებდნენ საჯაროდ ჩაეტარებინა სქესობრივი აქტი ოთხფეხა ცხოველთან სახედართან.

ავტორი მცირე ინფორმაციას გვაწვდის სომხეთში შაჰაპივანის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებაზე, განქორწინებასთან დაკავშირებით. კრების გადაწყვეტილებით თუ განქორწინება უმიზეზოდ მოხდებოდა პირებს დაეკისრებოდათ ქონებრივი სასჯელი. სასჯელი შეიძლება დამნაშავე მხარის ქონების ნახევარიც ყოფილიყო.

---

[6] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 191-194

ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ ცნობების უქონლობის გამო ძნელია ვისაუბროთ თუ როგორ ხდებოდა განქორწინება ძველ ფეოდალურ საქართველოში, მაგრამ მიუხედავად ამიასა, უეჭველია, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებში საქართველოშიც განქორწინების მთავარი მიზეზი მრუშობა უნდა ყოფილიყო.[8]

ავტორს მაგალითად მოაქვს ბექა აღბუღას სამართალი, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველოში ცოლის მრუშობის გარდა განქორწინების საფუძვლი შეიძლება ყოფილიყო ცოლის დასნეულება ანუ ქმარს შეეძლო მოეშორებინა სნეული ცოლი. არ აქვს მნიშვნელობა ის ქორწინებამდე იყო სნეული თუ ქორწინების შემდეგ გახდა, მეტიც თუ ქალი ქორწინებამდე იყო სნეული, კაცს შეეძლო არამარტო გაყროდა მას არამედ ქალის მშობლებისთვის გარკვეული პრეტენზია წარედგინა.

ქრისტიანული ეკლესია ქორწინებამდე ქალწულობის დაკარგვას მრუშობად თვლიდა და ეს შეიძლება გამხდარიყო განქორწინების მიზეზი. იგივე დოგმები ვრცელდებოდა ძველ ქართულ საოჯახო სამართალშიც. ავტორის თქმით ასევე განქორწინების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო, ქორწინებამდე ორსულობაც, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ქმარმა ქორწინებამდე იცოდა ქალის ორსულობის შესახებ და მეორე შემთხვევა თუ ორსულობის მიზეზი თვითონ ეს კაცი იყო.

ავტორი ეხება, ისეთ მნიშვნელოვან საკითხს როგორიცაა ემბზიდან საკუთარი შვილის ამოყვანა, ანუ როდესაც მშობელი ხდება შვილის ნათლია, ამ დროს მეუღლეები სულიერი ნათესავები ხდებოდნენ რაც განქორწინების მთავარი საფუძველი იყი. პრაქტიკაში უბედურ ცოლ-ქმარს ხშირად უსარგებლიათ ამ შემთხვევით.

ნადარეიშვილის თქმით, გამქორწინების მიზეზი შეიძლება იყოს ერთ-ერთი მეუღლის ბერად ან მონაზვნად აღკვეცა. ხშირად ქმრები ამ წესს ბოროტად იყენებდნენ და ცოლებას აიძულებდნენ მონაზვნად აღკვეცილიყვნენ.

ნადარეიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ფაქტს, რომ განქორწინების უმთავრესი მიზეზი იყო ერთ-ერთი მეუღლის მცდელობა მეორე მეუღლის სიცოცხლის წინააღმდეგ.

---

[8] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 197-202

განქორწინების მოტივი იყო ასევე სქესობრივი ზნეობის დამრღვევი დანაშაული, ანუ სოდომის ცოდვა. ავტორმა მაგალითად მოიყვანა თამარ მეფის განქორწინება პირველ ქმართან და აღნიშნა, რომ მემატიანეები განქორწინებას სოდომურ ცოდვას უკავშირებდნენ. ბიზანტიელები ამ დანაშაულისთვის სიკვდილით სჯიდნენ. ქართველი მემატიანეებიც აღნიშნავდნენ რომ მართალია თამარმა თავისი ქმარი სიკვდილით არ დასაჯა მაგრამ იგი სიკვდილის ღირსი იყო.[9]

განსაკუთრებით საინტერესო ფაქტი წარმოგვიდგინა ავტორმა, ბექა აღბუღას სამართლიდან, რომელიც ეხება მოღალატე ქმრის საჯაროდ გაშიშვლებას, ავტორი აღნიშნავს, რომ ეს სასჯელი გამოიყენება მაშინ როდესაც კაცმა კავშირი დაიჭირა ქმრიან ქალთან. ბექა აღბუღას სამართლის მიხედვით ქალის საჯარო გაშიშვლება როგორც სასჯელი არ გამოიყენება.

ბექა მანდატურუხუცესის სამართლიდან ჩაანს, რომ ქართული კანონმდებლობა განქორწინების საკითხში მეტისმეტად სასტიკი არ არის. ქართულმა ფეოდალურმა სამართალმა მოახერხა დაეძლია, განქორწინების საკითხების თეოლოგიური სოფლმხედველობა, ავტორის თქმით ქართული სამართალი განქორწინებასთან დაკავშირებით მეტ სირბილეს იჩენს, ვიდრე ბიზანტიური სამართალი. სხვა ფეოდალური ქვეყნებისგან განსხვავებით, ქართულ სამართალში ნაკლებად ვხვდებით ღალატისთვის, ცხვირის მოჭრას და ღირსების შემლახავ სხვა სასჯელებს.

ნადარეიშვილი განიხილავს ასევე ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნს და აღწერს განქოეწინების მთავარ მიზეზებს: ვახტანგის სამართლის მიხედვით, განქორწინების უპირველესი საფუძველია ქალის მრუშობა, მაგრამ კაცი ვალდებული არ არის რომ მრუშ ცოლს აუცილებლად გაეყაროს, ეს მისი უფლებაა და არა ვალდებულება.

ვახტანგის სამართლის მიხედვით, განქორწინების საფუძველი, ასევე შეიძლება იყოს ცოლის სიგიჟე და ბნედიანობა, მაგრამ ბერძნული კანონი უშვებდა გარკვეულ

[9] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 205-224

გამონაკლისს, მაგალითად თუ დაქორწინების შემდეგ ერთ ერთი მხარე გაგიჟდა, ცოლი ვალდებულია ხუთი წლის განმავლობაში უმკურნალოს ქმარს, ხოლო ქმარი ვალდებულია სამი წლის განმავლობაში უმკურნალოს ცოლს, თუ ამ დროის განმავლობაში ვერ მოხდება განკურნება ორივე მხარეს შეუძლია მოითხოვოს განქორწინება.[10]

ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს, ვახტანგ მეექვსის კანონის იმ ნაწილს, სადაც აღნისნულია, რომ ქორწინების უმთავრესი მიზანი შთამომავლების გაჩენა არ არის და კაცი უშვილობის გამო ცოლს ვერ დააგდებს. კანონში აღნიშნულია, შვილის გაჩენა ღვთის საქმეა, ამიტომ უშვილობის კვლევა არც იყო მიღებული. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ ქალს შეუძლია გაშორდეს ქმარს, თუ ქმარს არ აქვს სქესობრივი შეუღლების უნარი.

ნადარეიშვილი თავის ნაშრომში, აღწერს, ძველი ებრაელების ჩვეულებას განქორწინების წესთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ ძველი ებრაელები პირველები იყვნენ, რომლებმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ქალწულობას. მოსეს კანონის მიხედვით თუ ქალი არ აღმოჩნდებოდა ქალწული გამოიყვანდნენ მამის სახლიდან და ჩაქოლავდნენ. ქართული კანონმდებლობა შემწყნარებელი და ლოიალურია, რადგან თუ ქალი არ ღმოჩნდებოდა ქალწული მეორე დღეს ქმარი დაუბრუნებდა ქალს მამისეულ ოჯახს. პატარძლის მშობლებს სიძისთვის და სიძის ოჯახისთვის შეეძლოთ ეთხოვათ უკან დაებრუნებინათ პატარძალი, თუ ესენი დათანხმდებოდნენ ქორწინება გაგრძელდებოდა, თუ არა სიძე დაუბრუნებდა პატარძალს მზითვებს და პატარძალიც ვალდებული იყო სიძისთვის დაებრუნებინა მისგან მიღებული საჩუქრები.[11]

ნაარეიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქრისტიანული ეკლესია დიდ ყურადღებას აქცევს როგორც ქალის ქალწულებას ასევე ქმრის უბიწოებასაც.

---

[10] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 231-241

[11] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც „სამთავისი“, 1996, გვ. 265-267

ნადარეიშვილის მიერ საკმაოდ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი განქორწიინების წესი და შესაძლებლობა ძველ ქართულ და რომაულ სამართალის მიხედვით. აქეან გამომდინარე კარგად ჩანს რომ ქართული კანონმდებლობა რომაულისგან განსხვავებით ლოიალურია.

განქორწინების და ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ, ინფორმაციას გვაწვდის შალვა ჩიკვაშვილი, ნაშრომში „საოჯახო სამართალი". შალვა ჩიკვაშვილის ნაშრომი თავდაპირველად იწყება განქორწინების ისტორიული ასპექტებით, ნადარეიშვილის მსგავსად, ჩიკვაშვილიც აღნიშნავს, რომ განქორწინებას აქვს მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ჯერ კიდევ ძველი რომაული სამართალი განქორწინების სრულ თავისუფლებას უშვებდა .ასევე აღნიშნავს რომ ქრისტიანულმა რელიგიამ დიდი როლი ითამაშა განქორწინების აძალვაში, ამიტომ ჯერ მართმადიდებლურ შემდეგ კათოლიკურ ქვეყნებში განქორწინება შეიძლებოდა მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

შალვა ჩიკასვილის ნაშრომში საუბარია, თუ როგორ ხდება განქორწინება სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში და როგორ ხდება განქორწინება სასამართლოს მეშვეობით.

მის ნაშრომში, თავდაპირველად საუბარია, განქორწინებაზე, რეგისთრაციის ორგანოს მეშვეობით, იგი აღნიშნავს, რომ რეგისტრაციის ორგანოში განქორწინება, ცივილიზებულ ქვეყნებში მიჩნეულია განქორწინრბის ძირითად და უმთავრეს წყაროდ.[12]

ავთორის თქმით მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით განქორწინება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მაშინ თუ მეუღლეებს ქორწინებაში არ ყავთ არასრულწლოვანი, საერთო შვილი, ასევე მეუღლეებს შორის არ უნდა არსებობდეს ქონებრივი დავა. მარეგისტრირებელ ორგანოში, მეუღლეებს შორის, განქორწინება ხდება ურთიერთ თანხმობით, ავტორი აქვე აღნისნავს, რომ ორგანო მოვალე არ არის გამოიკვლიოს მოტივი განქორწინების ან ზომები მიიღოს მათ შესარიგებლად, მაგრამ

[12] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი", 2004, გვ. 223-227

განცხადების შეტანიდან ერთ თვეში გასცემს განქორწინების მოწმობას, ანუ ამით მეუღლეებს აძლევთ დროს დაფიქრდნენ სურთ თუ არა ნამდვილად განქორწინება.

ავტორი ასევე გვაწვდის დამატებით ინფორმაციას, რა შემთხვევაში შეიძლება მარეგისტირებელი ორგანოს მეშვეობით მოხდეს განქორწინება, მაგალითად: თუ მეუღლეთა შორის ერთ-ერთი აღიარებულია უგზო-უკვლოდ დაკარგულად, სულით ავადმყოფობის გამო ქმედუუნაროა, პატიმარია და მისჯილი აქვს სამ წელზე მეტი.

შალვა ჩიკვაშვილის ნაშრომის მიხედვით ახლა ვისაუბრებთ თუ როგორ ხდება განქორწინება სასამართლოს მეშვეობით.

ავტორი საუბრობს მიზეზებზე თუ რატომ მიმართავენ მეუღლეები განქორწინებისთვის სასამართლოს, მაგალითად: თუ ერთ-ერთი მეუღლე წინააღმდეგია, თუ მეუღლეებს ყაავთ არასრულწლოვანი შვილები, თუ მეუღლეებს შორის არსებობს ქონებრივი დავა, ან რაღაც მიზეზების გამო ერთ-ერთ მეუღლეს არ სურს მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს. მეუარლეებს რომელთაც სურთ განქორწინება, სასამართლოს აუცილებლად უნდა მიმართონ სასარჩელო მოთხოვნით.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს რა შემთხვევაში არ აქვს კაცს უფლება მოითხოვოს განქორწინება, ეს ის შემთხვევა, როდესაც ქალი ორსულადაა, ან ყაავს ერთ წლამდე ასაკის შვილი.[13] აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ცოლს ნებისმიერ დროს აქვს განქორწინების მოთხოვნის უფლება, მათშორის ორსულობის პერიოდში და მაშინაც თუ ყაავ ერთ წლამდე ბავშვი. რაც ჩემი აზრით არასწორია და ირღვევა კაცის უფლებები, თუ ერთ წლამდე ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე კაცს ეკრძალება ცოლთან ანქორწინება, ქალის მოთხოვნა განქორწინებასთან დაკავშირებით რატომ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ინტერესებს?

ჩიკვაშვილს თავის ნაშრომში, გაკეთებილი აქვს ჩამონათვალი 1995–1997 წლებში რამდენი ქორწინების რეგისტრაცია მოხდა და აქედან რამდენი წყვილი

[13] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 228-233

განქორწინდა. ავტორის თქმით, 1995 წელს რეგისტრირებულია 21481 ქორწინება და აქედან შეწყდა 2685 ანუ ყოველი მერვე ქორწინება. 1996 წელს რეგისტრირებულია 19253 ქორწინება აქედან შეწყდა 2269 ქორქინება . 1997 წელს რეგისტრირებულია 17099 ქორწინება აქედან შეწყდა2267 ქორწინება. ავტორი აქვე აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე განქორწინების რიცხვი თორმეტჯერ გაიზარდა. რაც ჩვენი ქვეყნისთვის სავალალო შედეგის მომტანია. მისი თქმით განქორწინების ზრდის მიზეზია მეუღლეების დამოკიდებულება ქორწინებისადმი რომ დასაქორწინებელი პირები არაკრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენენ ქორწინებისადმი. ავტორი, ასევე განქორწინების მთავარ მიზეზად მიიჩნევს „ლოთობას“ და თვლიის რომ ალკოხოლი ოჯახის მტერია. განქორწინების მიზეზი შეიძლება იყოს ასევე უშვილობა, ეჭვიანობა განსაკუთრებით კი პათოლოგიური ეჭვიანობა, და ასევე განქორწინების ერთ ერთ მიზეზს წარმოადგენს დრომოჭმული ტრადიციები და ანგარებით შექმნილი ოჯახი. ვტორი საუბრობს ასევე სასამართლოს ვალდებულებაზე და აღნიშნავს რომ კანონი სასამართლოს აკისრებს მოვალეობას, მიიღოს ზომები მეუღლეთა შესარიგებლად.[14]

ჩიკვაშვილის ნაშრომში საუბარია ასევე რა ხდება განქორწინების შემდეგ, რა ზომებს იღებს სასამართლო არასრულწლოვანი შვილის და შრომისუუნარო მეუღლის ინტერესების დასაცავად, რა ბედი ეწევათ ბავშვებს და ვისი მეურვეობის ქვეშ აღმოჩნდებიან. ჩვეულებრივ მშობლები თვითონ წყვეტენ ბავშვების საკითხს, თუ რომელი შვილი იცხოვრებს მათთან, მაგრამ თუ ვერ შეთანხმდნენ ამ საკითხსაც სასამართლო გადაწვეთს[15]

ავტორი აღნიშნავს, რომ სასამართლო მხარეებს უწესებთ შესარიგებელ ვადას, თუ ამ ვადაში შერიგდებიან მაშინ საქმე წარმოებით წყდება, თუ განქორწინების საფუძველი უმნიშვნელოა სასამართლო არ მოახდენს წყვილების განქორწინებას და მოსარჩელე ვალდებულიი ქნება უარი თქვას სარჩელზე. მაგრამ თუ სარჩელი საფუძვლიანია და მხარეები შესარიგებელი ვადის გასვლამდე არ შერიგდნენ

[14] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 240
[15] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 245

სასამართლო მოახდენს მათ განქორწინებას.[16] ავტორს მაგალითად მოჰყავს საქართველოს სამოქალაქო სამარრთლის კოდექსის 1127 მუხლის მესამე ნაწილი რომლის თანახმად, განქორწინება მოხდება, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ოჯახის შენარჩუნება შეუძლებელია, მათ შესარიგებლად მიღებული ზომების მიუხედავად.[17]

რომან და ეკატერინე შენგელიას საკუთარ ნაშრომში „ საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი“ დაცული აქვთ ცნობები განქორწინებასთან და ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, თავდაპირველად მოგახსენებთ მათ მოსაზრებას გამქორწინებასთან დაკავშირებით შემდეგ კი საუბარი იქნება ქორწინების ბათილად ცნობაზე.

ავტორების მიერ გადმოცემული ინფორმაციიდან, განქორწინების ისტორიულ ასპექტებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ყურადსაღებია 1970 წელს იტალიის პარლამენტის მიერ მიღებული კანონი განქორწინების შესახებ, როგორც ავტორები არნიშნავენ ამ კანონის მიღებამდე იტალიაში სრულებით აკრძალული იყო განქორწინება. არსებული აკრძალვები მოქმედებდა არამხოლოდ იტალიაში არამედ: ვატიკანში, სანმარინოში, არგენტინაში და კოლუმბიაში. ამ პერიოდში ქორწინების შეწყვეტა შეუძლებელი იყი და არც მეუღლეებს ქონდათ სხვაზე დაქორწინების უფლება.[18]

რომან და ეკატერინე შენგელია თავიაანთ ნაშრომში ასევე განიხილავენ როგორ ხდება განქორწინება სასამართლოში და რეგისტრაციის ორგანოში, ისევე როგორც ჩიკვაშვილი რომან და ეკატერინე შენგელიაც აღნიშნავენ, რომ რეგიისტრაციის ორგანომ მხოლოდ მაშინ შეიძლება მოახდინოს წყვილების განქორწინება თუ მათ შორის არ არსებობს რაიმე სადაო საკითხი.

ავტორების თქმით, განქორწინება სასამარათლოში უფო რთულ პროცესებთან არის დაკავშირებული, ასეთ გარემოებად მიიჩნევა მეუღლეებს შორის წარმოშობილი

---

[16] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ. 111

[17] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ. 112

[18] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 83-91

დავა, რომელიც შეიძლება იყოს როგორც პირადი ასევე ქონებრივი ხასიათის. კანონში არ არის ჩამოთვლილი მიზეზები რის გამოც მეუღლეები აუცილებლად უნდა განქორწინდნენ.

ავტორები ნაშრომით გვაუწყებენ, როგორ ხდება, განქორწინების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება არ ნიშნავს ქორწინების შეწყვეტას, რომ ამით მხოლოდ განქორწინების პირველი ეტაპი სრულდება მეორე ეტაპი კი სარეგისტრაციო ორგანოში გრძელდება. აუცილიბლად უნდა მოხდეს განქორწინების რეგისტრაცია სწორედ ამის შემდეგ ითვლება ქორწინება შეწყვეტილად.[19]

რომან და ეკატერინე შენგელია თავის ნაშრომში საუბრობენ ქორწინების ბათილად ცნობაზე, ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქორწინების ბათილად ცნობა შეიძლება მოხდეს მაშინ თუ ერთ-ერთი მეუღლე არ არის მიღწეული საქორწინო ასაკს, გაბათილების აუცილებლობა მოიხსნება თუ არასრულწლოვანმა ქორწინბაშივე მიაღწია საქორწინო ასაკს ან ორსულადაა ამ შემთხვევაში ბათილობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ არასრულწლოვნის მოთხოვნით. ასევე ქორწინების გაბათილების საფუძველია მექორწიბე პირების ნებაყოფლობის დარღვევა, როდესაც ერთ ერთი მეუღლე ქორწინების წინააღმდეგია და აიძულებენ დაქორწინებას.[20]

ავტორთა ნაშრომში, თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ქორწინების ბათილობის მიზეზები. ქორწინება ბათილად შეიძლება გამოცხადდეს თუ მექორწინე პირი იმყოფებოდა სხვა ქორწინებაში, თუ ქორწინება მოხდა აღმავალ-დაღმავალ ნათესავებს შორის, თუ ქორწინება განხორციელდა ბიოლოგიურ არაბიოლოგიურ და ძმებს შორის, თუ დაქორწინდნენ მშვილებელი და ნაშვილები, ქორწინება ბათილია ასევე თუ მექორწინეებს შორის ერთ-ერთი სასამართლოს მიერ ჭკუასუსტობის გამო აღიარებულია ქმედუუნაროდ.

---

[19] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 97

[20] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 133-136

ავტორებმა საკმაოდ თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინეს რა განსხვავებაა განქორწინებასა და ქორწინების ბათილად ცნობას შორის და აღნიშნეს, რომ ქორწინების ბათილობას უკუქცევითი ხასიათი არ გააჩნია, ანუ ასეთი ქორწინება თავიდანვე არაშემდგარია და თავიდანვე ბათილია. ქორწინების გაბათილების უფლება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციაა.

რომან და ეკატერინე შენგელია საუბრობენ, ასევე ურთიერთრჩენის ვალდებულებაზე და აღნიშნავენ, რომ მეუღლეს სარჩოს მისაღებად, სასამართლოსადმი მიმართვის უფლება აქვს, თუ შრომისუუნაროა და მატერიალურ დახმარებას საჭიროებს, აგრეთვე ორსულობის პერიოდში და ბავშვის დაბადებიდან სამი წლის მანძილზე.[21]

განქორწინებასთან და ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებული საკითხების ძირფესვიანად შესწავლაში, მის გამარტივებულად აღქმაში გვეხმარება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და კოდექსის კომენტარები. აქ აღნისნულია, რომ ქორწინების შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს: ერთ ერთი მეუღლის გარდაცვალება, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებულად გამოცხადება და განქორწინება.[22] ასევე აქაც აღნიშნულია რომ განქორწინება ხდება სასამართლოს და მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით, რომ დავის არსებობის შემთხვევაში მხარეებმა უნდა მიმართონ სასამართლოს. სამოქალაქო სამართლის კოდექსის კომენტარები ასევე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით და ასევე კომენტარებშიც აღნიშნულია რომ ბათილი ქორწინება თავიდანვე ბათილია და არანაირი ძალა არ გააჩნია, მაგრამ თუ ასეთ ქორწინებაში გაჩნდა ბავშვი მას მშობლებთან ჩვეულებრივი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა უნარჩუნდება.[23]

---

[21] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 144

[22] საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ., 1997, მ. 1122

[23] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. „სამართალი“ , 2000, გვ. 85

ქორწინების ბათილობის უმთავრესი მიზეზი რაც კოდექსში და კომენტარებში საკმაოდ კარგად არის აღწერილი არის ფიქციური ქორწინება რომელიც მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას. ფიქციური ქორწინების ბათილად ცნობა შეუძლია მოითხოვოს რეგისტრაციის ორგანომ, ასევე სარჩელი შეუძლია აღძრას მეორე მეუღლემაც რომელმაც არ იცოდა თავისი მეუღლის ზრახვების შესახებ.[24]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად კეთილსინდისიერ მეუღლეს რომელსაც ქონებრივი ზიანი მიადგა ქორწინების შედეგად, რომელიც ბათილად იქნა ცნობილი,უფლება აქვს მოითხოვოს ამ ზიანის ანაზღაურება.[25]

კომენტარებში აღნიშნულია ის ფაქტიც, რომ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებებიის უმრავლესობა არ არის მუდმივი, როდესაც მოხდება დამაბრკოლებელი გარემოებების აღმოფხვრა შესაძლებელია ადრე ქორწინებაში მყოფი პირები თავიდან დაქორწინდნენ.[26]

საკმაოდ საინტერესოა, ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატის“ მიერ ვებგვერძე გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გვაუწყებს საქართველოში, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში განქორწინების რიცხვის სტატისტიკას, „ახალგაზრდა ადვოკატის“ იურისტის ია გოგნაძის განცხადებით 2018 წელს კვლავ მაღალი იყო განქორწინების მოთხოვნის რიცხვი. მისი თქმით განქორწინება მწვავედ აისახება არასრულწლოვანი შვილების ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.

ორგანიზაციის შეფასებით, ბოლო ხუთ წელიწადში, საქართველოში განქორწინების 46031 შემთხვევა დაფიქსირდა. წლების მიხედვით ასე გამოიყურება განქორწინების მაჩვენებელი: 2017 წელს 10222 წყვილი განქორწინდა, 2016 წელს 9539 განქორწინების შემთხვვევა იყო, 2015 წელს 9112 წყვილი განქორწინდა, 2014 წელს 9119 წყვილი, 2013 წელს განქორწინდა 34693 წყვილი.

---

[24] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. „სამართალი“ , 2000, გვ. 91
[25] საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ., 1997, მ. 1147
[26] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. „სამართალი“ , 2000, გვ. 97

ია გიგნაძის განცხადებით განქორწინების ყვლაზე მაღალი მაჩვენებელი იყო თბილისში. 2017 წელს თბილისში 3731 წყვილი განქორწინდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ 2018 წლის იანვარ-თებერვალში საქართველოს მაშტაბით ოჯახში ძალადობის 746 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2018 წლის მარტის თვეში პოლიციამ გამოსცა 965 შემაკავებელი ორდერი.

ია გიგნაძის აზრით განქორწინების ზრდის მიზეზი არის ნაადრევი ქორწინება, ძალადობა, ეჭვიანობა და ღალატის ფაქტები. მისი თქმით განქორწინების ინიციატორები უმეტესად ქალბატონები არიან.[27] ჩემი აზრით მიზეზი იმისა რომ განქორწინების ინიციატორები ქალები არიან არის ოჯახური ძალადობა, რადგან ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ოჯახში ძალადობათა რიცხვი.

შოკისმომგვრელია საუდის არაბეთში ქალთა სოციალური მდგომარეობა, მაშინ როდესაც მსოფლიო გენდერულ თანასწორობაზე ალაპარაკდა, საუდის არაბეთში ქალები, განქორწინების შესახებ, ინფორმაციას მოკლეტექსტური შეტყობინების საშუალებით იღებენ. ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას გვაწვდის ვებგვერდზე განთავსებული ჟურნალი „ტაბულა“. ცვლილება საიდუმლო განქორწინების დასრულებას ემსახურება, როდესაც ქმრები შეტყობინების გარეშე ასრულებდნენ ქორწინებას. ამის შემდეგ, თუ სასამართლო დაადასტურებს განქორწინებას, ქალს ინფორმაციას მიაწვდის მოკლეტექსტური შეტყობინების სახით. რეგულაცია საუდის არაბეთის ტახტის მემკვიდრის მუჰამედ ბინ სალმანის რეფორმების ნაწილია, რომლის ფარგლებშიც ქალებმა მოიპოვეს მანქანის მართვის და სპორტულ ღონისძიებებზე ოჯახთან ერთად დასწრების უფლება.[28] ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან, ჩანს რომ მაჰმადიანურ ქვეყნებში ქალის კულტი და გავლენა ჩამოფასებულია და გენდერული თანასწორობაც არ არის დაცული, მაშინ როდესაც განვითარებულ ქვეყნებში როგორც ქალს ასევე მამაკაცს თავისუფლად შეუძლია განქორწინების მოთხოვნის უფლება და განქორწინება ხდება საკმაოდ გამარტივებულად მარეგისტრირებელი ორგანოს

[27] www.kvira.ge (10.04.19)

[28] www.tabula.ge (10.04.2019)

მეშვეობით, ზოგიერთ მაჰმადიანურ ქვეყნებში ქალს არამარტო არ აქვს განქორწინების მოთხოვნის უფლება, არამედ კანონმდებლობა არც თვლის მათ ღირსად ქონდეთ ინფორმაცია ქმრის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც განქორწინებას ეხება.

თავი II პრობლეის კვლევა/ანალიზი

2.1. ქორწინების შეწყვეტა და მისი სახეები

ქორწინება არის მუდმივი კავშირი, ის არ შემოიფარგლება განსაზღვრული ვადით. ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია, მეუღლის გარდაცვალება ან გარდაცვალებულად გამოცხადება, ხოლო ცოცხალ მეუღლეებს შორის ქორწინების შეწყვეტა ხდება განქორწინების საფუძველზე. განქორწინება უარყოფით მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგან მშობელთა განქორწინება განსაკუთრებით უაროფითად მოქმედებს შვილებზე. მეორე მხრივ განქორწინებას გააჩნია დადებითი მხარეებიც, მაგალითად, თუ ოჯახი ფაქტობრივად დაინგრა და ოჯახური თანაცხოვრება ბავშვებზე უაროფით ზეგავლენას ახდენს, აზრი ეკარგება ოჯახის ხელოვნურად შენარჩუნებას და ერთ-ერთი გამოსავალი არის განქორწინება.[29]

ძველ დროს, განქორწინება, ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად ხდებოდა, ყველაზე მარტივი იყო განქორწინება რომში, რადგან რომაელები განქორწინებას განიხილავდნენ, როგორც სამოქალაქო გარიგებას და ნებისმიერ დროს შეიძლებოდა განქორწინება, მეუღლეთა მოთხოვნის საფუძველძე. რომში განქორწინება კომერციულ გარიგებად იყო ქცეული. ხოლო ფეოდალიზმის პერიოდში როდესაც სამართალი განიცდიდა რელიგიის გავლენას განქორწინებათა რიცხვი მნიშვნელოვნად შეიზღუდა.[30] ქრისტიანულმა რელიგიამ, ძველ სამყაროში მრავალი გაბატონებული დოგმა მიიღო, მათ შორის იყო ქალებზე მამაკაცების უპირატესობა, რელიგიამ, შეიძლება ითქვას, რომ

[29] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 83-84

[30] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. „სამართალი“ , 2000, გვ. 57

განქორწინება სრულებით აკრძალა, მაგრამ ამ დოგმების დაცვა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა, ამიტომ ჯერ მართლმადიდებულმა, შემდეგ კათოლიკურმა ქვეყნებმა დაუშვეს განქორწინება, ის შეიძლება განხორციელებულიყო მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეს ის შემთხვევაა როცა ერთი მეუღლე ცოდავს მეორის წინაშე.

ისევე როგორც სხვა ქვეყნების სამართალი, ქართული სამართალიც, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უშვებდა განქორწინებას, განქორწინების უპირატესი უფლება კაცს უფრო ქონდა ვიდრე ქალს, მაგალითად ბექას სამართლის მიხედვით, თუ ქალი თავისი ნებით გაეყრებოდა კაცს იგი დამნაშავედ ითვლებოდა და მზითვი უკან უნდა დაებრუნებინა. ხოლო ვახტანგ მეექვსის სამართლის მიხედვით თუ განქორწინების ინიციატორი ორივე მხარეა, ორივეს ერთნაირად მიუძღვით ბრალი, ქალი უფრო მეტდ ისჯება ვიდრე კაცი. ხოლო ფეოდალურ საქართველოში ეს დეფინიცია აღარ არსებობდა, დამნაშავედ მიიჩნეოდა ყველა ვისაც წვრილი მიუძღოდა ოჯახის დანგრევაში.[31]

ცივილიზებულ სახელმწიფოებში განქორწინება საკმაოდ გამარტივებულია, მარტივად განქორწინება არ ნიშნავს იმას, რომ მეუღლეები ან არასრულწლოვანი ბავშვები არ არიან დაცულები და ილახება მათი ინტერესები. პირიქით განქორწინების პროცესების გამარტივება სუბიექტის უფლება მოვალეობების გარანტია უნდა იყოს.

განქორწინების გამარტივებაზე აისახება ის ფაქტიც, რომ განქორწინება დასაშვებია, არამარტო სასამართლო ორგანოს მეშვეობით, არამედ შედარებით მარტივად, მოწმეების დაკითხვის გარეშე, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს საშუალებით.

[31] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ. 94-96

კანონმდებლობის თანახმად ცოლს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს განქორწინება, ქმარს კი ეს უფლება ეზღუდება თუ ქალი ორსულადაა ან ერთ წლამდე ბავშვი ყავს.[32]

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ძველ დროში ყველაზე მარტივად განქორწინება ხდებოდა რომში. განქორწიინებისთვის საკმარისი იყო მხოლოდ ერთ ერთი მხარის ნების გამოვლება, ქორწინების შეწყვეტასთან დაკავშირებით. განქორწინებაზე ქალსა და მამაკაცს თანაბარი უფლებები ქონდათ ანუ როგორც კაცს შეეძლო ნებისმიერ დროს მოეთხოვა განქორწინება იგივე პრივილეგიებით სარგებლობდა ქალიც. ენგელსი აღნიშნავს, რომ რომაელებს უფრო ფართო შეხედულება ქონდათ ქალებზე ვიდრე ბერძნებს.

ავგუსტეს ეპოქაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ოჯახის სიმტკიცის შენარჩუნებისთვის, კერძოდ ქმარი ვალდებული გახადეს დაესაჯა მრუში ცოლი, მაგრამ ამ ყველაფერს მხოლოდ შეფარდებითი მნიშვნელობა ქონდა, ამ კანონმდებლობამ ხელი შეუშალა მაგრამ ვერ ღკვეთა რომაული ოჯახების ლპობა.

ციცერონი გვიამბობს რომაელ დედაზე თუ როგორ დააშორა თავისი შვილი ქმარს და შემდეგ თვითინ დაიწყო მასთან სექსუალური თანაცხოვრება. რომაელი ქალის გარყვნილობას ნათლად ასახაავს ფაქტი, რომლის თანახმადაც რომაელ ქალს ძეგლს უდგავდნენ თუ ის ერთი კაცით დაკმაყოფილდებოდა მთელი ცხოვრება.[33]

რომაული კანონმდებლობლობისგან განსხვავებით, სხვა ქრისტიანული სახელმწიფოები, მაგალითად ბიზანტია, ცდილობდა შეემცირებინა განქორწინებათა რიცხვი, მისი კანონმდებლობა კრძალავდა მესამედ დაქორწინებას, ანალოგიური მდგომარეობა იყო ფეოდალურ საქართველოშიც. ძველ ბიზანტიაში მამაკაცსაც ეკრძალებოდა მეუღლის ღალატი და მისი ეს ქმედება ითვლებოდა ცოლის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, მაგრამ ეს ფაქტი მხოლოდ ქაღალდზე იქნა

[32] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 85-86

[33] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „სამთავრისი“, 1996, გვ. 180–186

აღიარებული. ძველ რომშიც და ბიზანტიაშიც ერთგულება მხოლოდ ქალის ვალდებულებას წარმოადგენდა. ქმარი, მრუშობაში დამნაშავედ არ ითვლებოდა თავისი ცოლის წინაშე ანუ თუ მას უღალატებდა, მაგრამ დამნაშავე იყო მესამე პირის წინაშე, ანუ იმ ქალის ქმრის წინაშე ვისთანაც ცოლს უღალატა.

გერმანული სამართლის მიხედვით, ქორწინების ერთ–ერთი მიზანი შთამომავლების გაჩენა იყო, თუ ქალი უშვილო აღმოჩნდებოდა კაცს შეეძლო მოეთხოვა განქორწინება მაგრამ თუ კაცი აღმოჩნდებოდა უშვილო ქალს განქორწინების მოთხოვნის უფლება არ ქონდა.

ყველა მონათმფლობელურ საზოგადოებაში დაქორწინება ხდებოდა საცოლის ყიდვის მეშვეობით, ხოლო განქორწინების ნაირსახეობას წარმოადგენდა ცოლის გაგდება ასეთი წესები ვრცელდებოდა საქართველოშიც. წინარექრისტიანულ საქართველოში, განქორწინებაზე, ნაკლები ცნობები არის შემონახული, განქორწინების წესის შესახებ დუმს ქართული წყაროები. მაგრამ არსებობს ცნობები თუ როგორ ხდებოდა განქორწინება ფეოდალურ საქართველოში ამასთან დაკავშირებით შემონახულია გარკვეული ცნობები და დოკუმენტები, მართალია მცირეა ეს ცნობები მაგრამ საკმაოდ ბევრისმომცემი და მნიშვნელოვანია, მაგალითად იაკობ ხუცესის შუშანიკის წამება. ქრისტიანული რელიგის თანახმად ქორწინება იყო ღვთაებრივი აქტი და ასწავლიდა, რომელნიც ღმერთმა შეაერთონ კაცმან ვერ განაშოროსო მაგრამ მაინც სრულებით ვერ მოხდა ქორწინების აკრძალვა, თუ შუშანიკის წამებას განვიხილავთ, შუშანიკს ქონდა კანონერი საფუძველი და შეეძლო განქორწინება.

ძველ დროში მრუშობა შეიძლება ორ პერიოდად დავყოთ: პირველს ქონებრივი ხასიათი ქონდა, ანუ როდესაც ქალი უღალატებდა ქმარს მას აყენებდა ქონებრივი ხასიათის ზიანს ეს ითვლებოდა საკუთრების უფლების დარღვევად და მიჩნეული იყო როგორც ქმრის გაქურდვა. მეორე პერიოდში, ღალატი არამარტო საკუთრების უფლების დარღვევად ითვლებოდა, არამედ ქმრის ღირსების შეურაწყოფადაც.

კანონიკური სამართლის თანახმრად მოღალატე ცოლი თხუთმეტი წელი ვერ ეზიარებოდა და ოთხი წელი ტირილში უნდა გაეტარებინა, ხოლო ებრაული კანონმდებლობის თანაცმად ქმარი ვალდებული იყო დაუყოვნებლივ გაცილებოდა მოღალატე ცოლს. ამასთან დაკავშირებით საუბარია ბექა აღბუღას სამართალშიც სადაც აღნიშნულია, რომ მოღალატე ცილთან განქორწინება ქმრის ვალდებულებაა და ასევე ქმარს შეეძლო განქორწინებოდა ცოლს თუ ცოლი დასნეულდებოდა. სნეულ ცოლთან განქორწინება კანონმდებლობისთვის მაინცდამაინც არ იყო მისაღები, ამას ადასტურებს კანონი რომელიც ავალდებულებდა ქმარს, სასჯელის სახით, ნახევარი სისხლის ფასი გადაეხადა.

მრუშობად ითვლებოდა, ასევე ქორწინებამდე ქალწულობის დაკარგვა და ეს იყო განქორწინების ერთ–ერთი საფუძველი. ამავე ფაქტით საქართველოშიც ხდებოდა განქორწინება. განქორწინების მოდევნო მიზეზი იყო დაქორწინებამდე დაორსულება , მაგრამ ამ მიზეზით განქორწინება ვერ მოხდებოდა თუ ქალი ქვრივი იყო და წინა ქორწინებიდან ერთ წელზე ნაკლები იყო გასული, თუ ქმარმა იცოდა დაქორწინებამდე ცოლის ორსულობის შესახებ, თუ ქმარი თვითონ იყო ორსულობის მიზეზი. არსებობდა ღალატის ანალოგიური მიზეზებიც რაც განქორწინების მიზეზი ხდებოდა, მაგალითად: თუ ქალი უცხო მამაკაცთან ერთად დაიბანდა ან უცხო კაცთან ერთად იქეიფებდა, ან უცხო მამაკაცის სახლში გაათევდა ღამეს, ან თუ ქმრის გარეშე დაესწრებოდა ცირკის ან თეატრის წარმოდგენას. ძველ რუსეთში მსგავსი მიზეზები არშეიძლება გამხდარიყო განქორწინების საფუძველი რადგან რუსული კანონმდებლობის თანახმად საერთოდ დედაკაცები დამამაკაცები ერთად იბანდნენ ტანს. განქორწინების მიზეზი შეიძლება გამხდარიყო ერთ–ერთი მეუღლის უარგისობა, თუ მეღლიდან ერთ–ერთი ბერად ან მონაზვნად წავიდოდა, თუ ერთ–ერთ მეოღლეს ქონდა მცდელობა მეორე მეუღლის სიცოცხლე მოსასპობლად, განქორწინების მიზეზად ითვლებოდა ასევე სოდომის ცოდვა რომელზეც ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელი რუის ურბნისის საეკლესიო კრებაზე ლაპარაკობდა. სოდომის ცოდვა არამარტო განქორწინების მიზეზი ხდებოდა,

არამედ ამ ცოდვის ჩამდენი პირი სიკვდილით ისჯებოდა. სოდომური ცოდვისთვის სიკვდილით ისჯებოდნენ არამარტო ქრისტიანულ არამედ მაჰმადიანურ ქვეყნებშიც[34]

განსაკუთრებით აღსანიშნავია თუ როგორ ხდებოდა განქორწინება ფეოდალურ საქართველოში ამ დროს ქორწინება–განქორწინებას აწესრიგება როგორც საეკლესიო, ასევე საერთო კანონმდებლობა. ქორწინებას განიხილავდნენ, როგორც გარიგებას და ასევე, როგორც რელიგიურ საიდუმლოს. ფეოდალური კანონმდებლობა განქორწინების საფუძვლად მხოლოდ მრუშობას თვლიდა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქალს ეკრძალებოდა, თუ ქმარი სხვა გასათხოვარ ქალთან უღალატებდა ცოლს ის არ შეიძლება მრუშად ჩათვლილიყო და ამ მიზეზით ცოლი ქმარს ვერ მოსთხოვდა განქორწინებას, ხოლო თუ ცოლს ქმრიან ქალთან უღალატა კაცი მრუშად ჩაითვლებოდა და ის აუცილებლად დაისჯებოდა. სასჯელის ერთ–ერთ სახეობას კი წარმოადგენდა კაცის გაშიშვლება ეს სასჯელი ითვლებოდა კაცის ღირსების აყრად. ქართული ფეოდაური სამართალი არ ითვალისწინებდა სასჯელის სახით მოღალატე ქალის გაშიშვლებას.

ფეოდალურ საქართველოში, თუ დიდებული და აზნაური დიდებულის ცოლს შეაცდენდა, დამნაშავე მამაკაცს დიდებულისთვის უნდა გადაეხადა მისი სისხლის საფასური, ანუ თორმეტი ათასი თეთრი ეს იმ შემთხვევაში თუ დიდებული ცოლს მიატოვებდა, თუ ცოლს არ გაშორდებოდა, მაშინ მოღალატე მამაკაცს ქალის ქმრისთვის უნდა გადაეხადა ექვსი ათასი თეთრი, მაგრამ თუ ღალატი ცხადად არ იყო დადგენილი, კაცს ვერავინ აიძულებდა ღალატის საფასურის გადახდას ამ შემთხვევასი კაცს შეეძლო თავი ფიცით ემართლებინა. ფეოდალური სამართლის წიგნების მიხედვით მხოლოდ ქალი იყი ვალდებული ყოფილიყო ქმრის ერთგული, ქმარი იურიდიულად არ შეიძლება ცოლის წინაშე მრუშობაში დამნაშავე ყოფილიყო.

ფეოდალურ საქართველოში არსებობდა განქორწინების როგორც ლეგალური ასევე არალეგარული მეთოდები, ალარეგალურია მაგალითად როდესაც ქმარი

[34] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „სამთავრისი“, 1996, გვ.188–207

უმიზეზოდ დააგდებდა და მიატოვებდა ცოლს, ამ შემთხვევაში ქმარს ცოლისთვის უნდა გადაეხადა მისივე სისხლის საფასური და მზითვი სრულებით გაეტანებინა უკან. ქალი მსგავსი ქმედებისთვის ორჯელ უფრო მკაცრად ისჯებოდა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვახტანგის სამართლის წიგნი, იქ დასაბუთებულად არის წარმოჩენილი განქორწინების მიზეზები.

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით თუ ქმარი ცოლს დაჭრის, ან დააშავებს ცოლს უფლება აქვს დასაჯოს ქმარი და სისხლით აზღვევინოს, ამ ქმედებისათვის მაგრამ აქ არ არის საუბარი განქორწინებაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქმრის მსგავსი ქმედება არ წარმოადგენდა განქორწინების საფუძველს, აქვე აღნიშნულია: ცოლ ქმარი ბოზობისთვის ერთმანეთს ვერ გაეყრებიან.

ვახტანგის სამართლის მიხედვით, თუ კაცი ცოლს ცუდად ექცევა და ტანჯავს, მაშინ მეფე, ასეთ ქმარს დატანჯავს და ცუდად მოექცევა. ამავე კანონმდებლობის მიხედვით ცოლ ქმარს შორის სიძულვილი არ შეიძლება გახდეს განქორწინების მიზეზი, კათოლიკოსი ვალდებულია შეარიგოს მოძულე ცოლ–ქმარი ერთმანეთს.

ვახტანგის სამართლის მიხედვითაც, განქორწინების მთავარი საფუძვლია მრუშობა, ასევე ცოლის ბნედობა და სიგიჟე, თუ ცოლს სიგიჟე დაემართა ქმარი ვალდებულია მოუაროს მას სამი წელი, თუ სამი წლის განმავლობაში არ გამოსწორდა უფლება აქვს გაუშვას ყოველგვარი სისხლის მიცემის გარეშე. კანონმდებლობა განასხვავებს სიგიჟის ორ შემთხვევას, როდესაც ქალი გიჟი იყო გათხოვებამდე და მეორე, როდესაც გაგიჟდა გათხოვების შემდეგ, პირველ შემთხვევაში ქალის მშობლები ვალდებულები არიან წაიყვანონ თავიაანთი შვილი და უმკურნალონ, თუ იგი განიკურნება დაუბრუნონ ქმარს და მეორე შემთხვევაში ქმარია ვალდებული უმკურნალოს ცოლს თუ მკურნალობის შემდეგ ცოლი არ განიკურნება, შეუძლია იგი გაუშვას. ვახტანგის კანონის მიხედვით განქორწინების საფუძველია ასევე ბნედობა, რომელიც არის მძიმე ეპილეფსიური დაავადება რომლის დროსაც ამ სენით დაავადებულმა ადამიანმა შეოძლება ჩაიდინოს მძიმ დანაშაული როგორიც არის,

მაგალითად, მეორე ადამიანის სიცოცხლის მოპობა და ასე შემდეგ. არაერთხელ ყოფილა შემთხვევა როდესა ამ დავადების მქონე ადამიანს მკვლელობა ჩაუდენია და შემდეგ თავი დაუსახიჩრებია ან თავი ჩამოუხვჩია. ვახტანგის სამართალი უშვილობას განქორწინების მიზეზად არ მიიჩნევს და აღნიშნავს რომ კაცი უშვილობის გამო ცოლს ვერ გააგდებს და თუ გააგდო მისი სრული სისხლის საფასური უნდა გადაიხადოს. რადგან შვილის გაჩენას ღვთის საქმედ და ნებად მიიჩნევდნენ.

განქორწინების მომდევნო საფუძველი, ვახტანგის სამართლის მიხედვით არის მამაკაცის სქესობრივი უარგისობა, მაგრამ თუ კაცი სქესობრივად უარგისი არ არის მაგრამ არ აქვს განაყოფიერების უნარი ქალს არ შეუძლია მასთან განქორწინება.

ფეოდალურ კანონმდებლობაშიც, ნათლად არის ასახული მამაკაცის უპირატესობა ქალზე, ფეოდალური სამართალი ქალს მხოლოს ვალდებულებებს აკისრებს, კაცს კი უფლებებს. ქალის მიერ ქმრის დაგდება უფრო მკაცრად ისჯრბოდა, ვიდრე კაცის მიერ ცოლის დაგდება, მაგალითად კანონმდებლობის თანახმად თუ კაცი დააგდებდა ცოოლს უნდა გადაეხადა სისხლის ის გადასახადი რა ფენიდანაც თვითონ იყო და არა ის გადასახადი რაც ღირდა მისი ცოლის სისხლი, მაგალითად, თუ ის მაღალი ფენის წარმომადგენელი იქნებოდა. სხვა ვითარებაა როდესაც ცოლი აგდებს ქმარს, ასეთ ქმედებას მრუშობად, ამორალურად, მიიჩნევდნენ და ქალს მთლიანად უნდა გადაეხადა ქმრის სისხლის საფასური.

ფეოდალური სამართალი განსაკუთრებილ ყურადღებას ამახვილებს ცოლის წაგვრაზე, ანუ ცოლის მიტაცებაზე, როდესაც კაცს ცოლს მოსტაცებდნენ, გამტაცებელს მისთვის უნდა გადაეხადა ჯერ ორი სისხლის ფასი, როგორც სხვისი ცოლის წამგვრელი და ამის შემდეგ, უმატებდა კიდევ ერთ მთელ სისხლს, როგორც ძალად წამრთმეველი და კიდევ ამ ქმედებისათვის ემატებოდა ორი წილი სისხლი ანუ მთლიანობაში გამტაცებელს ქალის ქმრისთვის უნდა გადაეხადა ხუთი წილი სისხლი, რაც სააბოლოო ჯამში იყო ძალიან ბევრი და ჩვეულებრივი საშუალო ფენის წარმომადგენელი ვერ გადაიხდიდა ამდენი სისხლის ფასს, თუ ვინმე არ დაეხმარებოდა, მაგრამ თუ

გამტაცებელი იყო ფეოდალი და მოიტაცებდა გლეხის ცოლს ის თავისულლად შეძლებდა სისხლის ფასის დაფარვას.[35]

ისტორიული ასპექტების განხილვიდან გამომდინარე, შეიძლება ვიმსჯელოდ რომ როგორც მონათმფლობელურ ეპოქაში ასევე ფეოდალურ სახელმწიფოებში, ოცდამეერთე საუკუნემდე მამაკაცის უპირატესობა ქალზე აშკარა და თვალსაჩინოა როგორც განქორწინების ასევე სხვა საკითხებთან მომართებაში.

2.2. განქორწინება სასამართლოში

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ადამიანის ოჯახური ცხოვრება ხელშეუხებელია[36], ადამიანი თვითონ ირჩევენ ვისთან შექმნან ოჯახი, გაგრძელოს თუ შეწყვიტოს ოჯახური თანაცხოვრება.

ქორწინების შეწყვეტის საფუძველია ერთ–ერთი მეუღლის გარდაცვალება, გარდაცვალებულად გამოცხადება და განქორწინება[37]

---

[35] გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „სამთავრისი“, 1996, გვ.210–240

[36] საქართველოს კონსტიტუცია, 1995, გვ.57

[37] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. „სამართალი“ , 2000, გვ.56

როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქორწინების შეწყვეტის ერთ–ერთ საფუძველს წარმოადგენს განქორწინება. პირებს შორის განქორწინება შეიძლება განხორციელდეს რეგისტრაციის ორგანოში, ან შეიძლება მოხდეს სასამართლო ორგანოს მეშვეობით.

განქორწინებას, სასამართლო განიხილავს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესებით[38]

სასამართლოში განქორწინება ორ ეტაპად იყოფა: პირველია სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვა და გადაწყვეტილების მიღება და მეორეა მიღებული გადაწყვეტილების რეგისტრაციაში გატარება.[39]

ცოლ–ქმარი, განქორწინებისთვის, სასამართლოს მიმართავს იმ შემთხვევაში თუ მათ შორის ასებობს რაღაც პრობლემა, გარკვეული სადაო საკითხი.

მხარეები განსაქორწინებლად სასამართლოს მიმართავენ, შემდეგი სადაო საკითხების არსებობისას: თუ მეუღლეებს შორის არის ქონებრივი სადაო საკითხი, ანუ ვერ გაუყვიათ ქონება, თუ მეუღლეებს ყავთ არასრულწლოვანი შვილები და თუ ერთ–ერთი მეუღლე არის განქორწინების წინააღმდეგი.[40]

მეუღლეებს რომელთაც სურთ განქორწინება სასამართლოს მეშვეობით, აუცილებლად, სასამართლოში, უნდა წარადგინონ სასარჩელო მოთხოვნა. სარჩელი შეიძლება წარადგინოს მხოლიდ ერთ–ერთმა მეუღლემ, არცერთ სხვა პირს არ აქვს სარჩელის წარდგენის უფლება.[41]

სასარჩელო მოთხოვნაში მეუღლეებმა უნდა მიუთითონ სად მოხდა მათი ქორწინების რეგისთრაცია, ჰყავთ თუ არა არასრულწლოვანი შვილებიი და აუცილებლად მითითებული უნდა იყოს მათი ასაკი, შეთანხმდნენ თუ არა მეუღლეები შვილების აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე, და ასევე აუცილებლად უნდა იყოს მითითებული განქორწინების მოტივი და მოთხოვნები რომლეიც მეუღლეებს გააჩნიათ. სარჩელს უნდა დაერთოს შემდეგი სახის დოკუმენტები: ქორწინების რეგისტრაციის

---

[38] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ.117
[39] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ.118
[40] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ.228
[41] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ.100

მოწმობა, შვილების დაბადების მოწმობის ასლები და დოკუმენტები მეუღლეთა შემოსავლების შესახებ.

განქორწინებასთან დაკავშირებული საქმე, სასამართლოში განიხილება საჯაროდ, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მეუღლეები მოითხოვენ სასამართლო სხდომის დახურვას, და სასამართლოსაც მიზანშეწონილად მიაჩნია ამ ქმედების განხორციელება.[42]

კანონმდებლობაში აღნიშნულია რა შემთხვევაში არ აქვს კაცს უფლება მოითხოვოს განქორწინება, ეს ის შემთხვევებია, როდესაც ქალი ორსულადაა, ან ჰყავს ერთ წლამდე ბავშვი, რადგან განქორწინება საკმაოდ რთულ პროცესებთან არის დაკავშირებული და შეიძლება უაროფვითათ აისახოს ორსული ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობზე და თუ ერთწლამდე ბავშვი ყავთ მაშინ ბავშვის მდგომარეობაზე. არსებულ შემთხვევებში განქორწინება შეიძლება მოხდეს ქალის ნებართვით, ანუ როდესაც კაცი სასამართლოს მიმართავს განქორწინების მოთხოვნით, სარჩელში აუცილებლად უნდა იყოს ცოლის თანხმობა წერილობითი ფორმით.[43] თუ ქმარი მაინც შეიტანს სასამართლოში სარჩელს, ცოლის თანხმობის გარეშე სასამართლო აუცილებლად უარს ეტყვის განქორწინებაზე. კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი, რახდება მაშინ თუ ცოლი ორსულადაა ან ყავს ერთ წლამდე ბავშვი სხვა პირისგან. შალვა ჩიკვშვილის აზრით, რადგან კანონმდებლობაში არაფერია ნათქვაი, ქმარს არც ამ შემთხვევაში არ უნდა ჰქონდეს უფლება, სასამართლოში, შეიტანოს სარჩელი და მოითხოვოს განქორწინება, ცოლის ნებართვის გარეშე, რადგან ეს კანონი მიღებულია არა ქმრის უფლებების დასაკნინებლად, არამედ ორსული ქალი და ერთ წლამდე ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარობის შესანარჩუნებლად. ხოლო ცოლს ნებისმიერ დროს შეუძლია შეიტანოს სასამართლოში სარჩელი და მოითხოვოს განქორწინება, ორსულობის პერიოდშიც და მაშინაც თუ ყავს ერთ წლამდე ბავშვი.

---

[42] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ.119

[43] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ.229

ჩემი აზრით, არასწორია კაცს უარი ეთქვას განქორწინებაზე, როდესაც ქალი სხვა კაცისგან ელოდება ბავშვს, კანონმდებლობაში ამასთან დაკავშირებით არაფერია ნათქვამი მხოლოდ ავტორს აქვს დაფიქსირებული საკუთარი პოზიცია არსებულ ფაქტთან დაკავშირებით რასაც არ ვეთანხმები და მიმაჩნია რომ კანონმდებლობაში უნდა გაკეთდეს დათქმა კაცის მორალური ინტერესების სასარგებლოდ.

მკვდარი ბავშვის დაბადების, ან ბავშვის ერთწლამდე გარდაცვალების შემთხვევაში, ქმარს ნებისმიერ მომენტში შეეძლება სასამართლოსადმი მიმართვა განქორწინების მოთხოვნის საფუძვლით, ამ შემთხვევაში უკვე ცოლის ნებართვა საჭირო აღარ არის.

მეუღლეებს უფლება აქვთ, დაქორწინებიდან ნებისსმიერ დროს, მიმართონ სასამართლოს და მოითხოვონ განქორწინება, ერთი მეუღლე იქნება მოსარჩელ ხოლო მეორე მეუღლე მოპასუხე, მეუღლეთა ერთად ცხოვრების შემთხევაში სასამართლოი სარჩელი შეიტანება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მაგრამ თუ მეუღლეები ცალკ–ცალკე ცხოვრობენ, მოპასუხე მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შეიტანს მეორე მეუღლე სარჩელს, ხოლო, თუ მოპასუხე მეუღლეს არ გააჩნია საცხოვრებელი ადგილი , არასრულწლოვანი ბავშვები მოსარჩელესთან ცხოვრობენ, ან მოპასუხის საცხოვრებელი ისეთ ადგილას არის რომ გაძნელდება მისვლა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, მაშინ სარჩელი შეიტანება მოსარჩელის საცხოვრებელის მიხედვით. ასევე შესაძლებელია სასამართლო ტერიტორიაზე მეუღლეები შეთანხმდნენ და სასამართლომ მათი შეთანხმების შესაბამისად განიხილოს საქმე.[44]

მშობლებს, რომელთაც სურთ განქორწინება, როგორც წესი წინასწარ თანხმდებიან, ვისთან იცხოვრებს ბავშვი და რომელი მათგანი გადაიხდის ალიმენტს, თუ მეუღლეები სასამართლოში მიმართვის შმდეგაც ამ საკითხებთან დაკავშირებით არ შეთანხმდნენ სასამართლო განქორწინების გადაწყვეტასთან ერთად გადაწყვეთს

[44] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ.230

ბავშვის საკითხსაც, ვისთან დარჩება ბავშვი რომელი მშობელი და რა რაოდენობით გადაიხდის ალიმენტს.

თუ განქორწინების განხილვის დროს, ბავშვი იმყოფებოდა მესამე პირთან და განქორწინების განხილვის შემდეგ სადაო გახდა ვისთან წასულიყო ბავშვი ამ დავასაც გადაწყვეტს სასამართლო, ოღონდ ამ დროს შეტანილი უნდა იყოს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნა.[45]

უმეტეს შემთხვევაში, მშობლებს წრფელი სიყვარულის გამო სურთ, რომ ბავშვი თავისთან დარჩეს. მაგრამ სასამართლო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ზოგჯერ მშობლებს ანგარება ამოძრავებს და მხოლოდ იმიტომ უნდა ბავშვი თავისთან დარჩეს, რომ თავი აარიდოს ალიმენტის გადახდას, ან ამით უნდა შური იძიოს თავის მეუღლეზე რომელსაც სურს განქორწინება. თუ სასამართლომ დაადგინა ანგარების მოტივი საქმეს მეორე მეუღლის სასარგებლოდ გადაწყვეტს, მაგრამ თუ ანგარებასთან არ გვაქვს საქმე და ორივე მეუღლეს გულწრფელი სიყვარულის გამო სურს, რომ ბავშვი მასთან დარჩეს, რომ თვითონ მიიღოს მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში სასამართლო უკვე სხვა ნორმებით ხელმძღვანელობს და გადაწყვეტილებას იღებს ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით, ვისთან უფრო კარგად იქნება, რომელი მშობელი უფრო შეუწყობს ხელს ბავშვის სრულფასოვან აღზრდას, მაგრამ სასამართლო მხოლოდ მშობლის სოციალურ მდგომარეობას არ ითვალისწინებს და მშობელს მხოლოდ იმიტომ არ გადასცემს ბავშვს აღსაზრდელად, რომ მეორე მშობელზე დიდი ქონება გააჩნია, რათქმაუნდა სასამართლო ითვალისწინებს ბავშვის აზრსაც, მაგრამ თუ ბავშვის სურვილი მისივე ინტერესებს არ შეესაბამება სასამართლო არ გაითვალისწინებს ბავშვის სურვილს.[46]

როდესაც სასამართლო წყვეტს შვილებთან დაკავშირებულ დავას, აქ მნიშვნელოვანი როლი უჭირავს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს.

---

[45] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 95

[46] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ 106

სამოქალაქო კოდექსში, გათვალისწინებულ შემთხვევაში, საჭიროებისამებრ საქმეში მონაწილეობა უნდა მიიღოს მეურვეობის და მზრუნველობის ორგანომ.[47] ორგანო იკვლევს პირობებს, რა პირობებში, მოუწევს ბავშვს ცხოვრება, როგორც ერთ ასევე მეორე მშობელთან, რომელ პირობებში ცხოვრებაა ბავშვისთვის უფრო სასიკეთო. ისევე როგორც სასამართლო არც მეურვეობის და მზრუნველობის ორგანო არ იღებს გადაწყვეტილებას მშობლის სოციალური მდგომარეობის მიხედვით. ყველა გარემოების გათვალისწინების შემდეგ სასამართლო წყვეტს რომელი შვილი რომელ მშობელთან დარჩება.

სერიოზული სიძნელეები წარმოიშვება როდესაც განსაქორწინებელ წყვილს, ქორწინებაში ყავთ რამოდენიმე ბავშვი, შეიძლება ბავშვების ერთმანეთთან დაცილებამ უარყოფითად იმოქმედოს მათ ფსიქიკაზე, მაგრამ ბავშვების ინტერესების გათვალისწინებით შეიძლება მოხდეს მათი დაცილება, მაგალითად თუ მშობელს არ აქვს იმდენი შესაძლებლობა რომ სუყველა შვილი მარტომ შეინახოს.[48]

ჩემი აზრით გაუმართლებელია ბავშვების ერთმანეთისგან დაცილება, რადგან ბავშვი ისედაც დასტრესილია მშობლების გაცილების გამო, და ამავდროულად მათმა ერთმანეთისგან განცალკევებამ საკმაოდ დიდი ბზარი შიძლება დატოვოს მათ ფსიქოლოგიაზე. ამიტომ ორივე მშობელმა თანაბარი ძალებით უნდა შეუწყონ ხელი ბავშვების ერთად აღზრდას და განვითარებას, თუ სასამართლო დედას მიაკუთვნებს შვილების და მას არ აქვს სუყველა შვილის აღზრდის სახსრები მამა ყველანაირად უნდა დაეხმაროს მატერიალურად დედას შვილების აღზრდაში ეს უნდა გააკეთოს არა ყოფილი მეუღლისთვის არამედ საკუთარი შვილების სრულფასოვნად აღზრდისთვის.

საოჯახო კანონმდებლობა არ შეიცავს, მიზეზთა ჩამონათვალს, რის საფუძველძეც ოჯახები ინგრევა.

განქორწინრბის ერთ–ერთ მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ, ქორწინებისადმი გულგრილი დამოკიდებულება, ახალგაზრდები გულგრილად ეკიდებიან ქორწინებას,

---

[47] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 1128

[48] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 245–249

არ აქვთ გაცნობიერებული მისი არსი, ამ მიზეზიდან გამომდინარე, რომ შემცირდეს განქორწინების რიცხვი, აუცილებელია წყვილები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს, გაცნობიდან რამოდენიმე თვეში თუ კვირაში არ მოხდეს დაქორწინება, ასევე აუცილებელია გააცნობიერონ ქორწინების არსი, რადგან გულგრილობით შექმნილი ოჯახი, ძირითადად დანგრევის საწინდარია.

განქორწინების მიზეზია ასევე ანგარება და დრომოჭმული ტრადიციები, ანგარებით შექმნილი ოჯახი ყოველთვის განწირულია, რადგან უსიყვარულოდ დაქორწინებული წყვილები დიდხანს ვერ შეძლებენ ოჯახურ თანაცხოვრებას. ოჯახის შექმნა სიმდიდრეს და კარიერას გადაეინასკვა და განქორწინება უკვე მოდად ქცეული ტრადიციაა.

განქორწინების ერთ–ერთი მთავარი მიზეზი ლოთობაა, რადგან ლოთობა გამორიცხავს მეუღლეებს შორის მშვიდობიან თანაცხოვრებას, ლოთობა ზიანს აყენებს რამარტო მეორე მეუღლეს არამედ ოჯახის სხვა წევრებსაც, მაგალითად შვილებს. სწორედ ასეთ ოჯახში იზრდებიან და ყალიბდებიან ძნელად აღსაზრდელი ბავშვები.[49]

ზუსტად ლოთობაა ოჯახში ძალადობის მიზეზი, რაც სისხლის სამართლის კანონმდებლობით ისჯება, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე[50]. ძალადობა გამოიხატება სულიერ და ფიზიკურ ტანჯვში, მეუღლის დამცირებაში, შანტაჟში. ოჯახში ძალადობის დროს ხდება ოჯახის წევრების, კონსტიტუციური უფლებების დარღვევა, რაც მეუღლეთა განქორწინების უმთავრესი საფუძველია.[51]

შალვა ჩიკვაშვილი აღნიშნავს, რომ ჩეხელმა მკვლევარებმა ჩაატარეს კვლევა, გამოიკვლიეს 40 ალკოჰოლიკის მეუღლის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და დაადგინეს რომ მათგან მხოლოდ ხუთს ქალს არ ქონდა ფსიქოლოგიური პრობლემები

---

[49] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 236–237

[50] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999, მ. 126

[51] მ. ლეკვეიშვილი, ნ. თოდუა, გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, თბ., გამომც „მერიდიანი“, 2014, გვ. 143–144

განქორწინების მიზეზია ასევე უშვილობა, ცოლ–ქმრის ურთიერთობაში მშობლების ჩარევა, განსხვავებილი რელიგიური შეხედულებების არსებობა,

განქორწინების ერთ–ერთი მთავარი საფუძველია ეჭვი. ეჭვმა ადამიანი შეიძლება საკმაოდ ცუდ მდგომარეობაში ჩააგდოს და თვითმკვლელობამდეც მიიყვანოს. არსებობს შემთხვევები როდესაც ქმარმა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა ან პირიქით.

ჩამოთვლილი საფუძვლები ამომწურავი არ არის, განქორწინების მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს, ერთიდაიგივე მიზეზით შეიძლება წყვილები განქორწინდნენ და ამავე მიზეზის არსებობის მიუხედავად, სხვა წყვილმა მოახერხონ ოჯახის შენარჩუნება და მშვიდობიანი თანაცხოვრება.

საამართლო ვალდებულია, უპირველეს ყოვლისა, ყველანაირი ზომა მიიღოს ოჯახის შესანარჩუნებლად, სასამართლოს შეუძლია საქმის წარმოება გადადოს და ცოლ ქმარს მისცეს ვადა დასაფიქრებლად, ნამდვილად სურთ თუ არა განქორწინება, ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ექვს თვეს. განქორწინება მოხდება თუ სასამართლო დაადგენს რომ მის მიერ მიღებული ზომების მიუხედავად წყვილები ვერ შერიგდნენ და გარკვეული მიზეზების გამო შეუძლებელია მათი ოჯახური თანაცხოვრება.

არის შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო წყვილებს უარს ეუბნევა განქორწინებაზე, მაშინ როდესაც, არ არის განქორწინების სერიოზული მოტივი, წყვილებს შორის კონფლიქტი დროებითია,[52] ასევე თუ არ არსებობს სერიუზული მოტივი ერთად ცხოვრების საწინააღმდეგოდ[53] ამ შემთხვევაში სასამართლო წყვილებს უარს ეუბნევა განქორწინებაზე, უთითებს შერიგებაზე და ოჯახურ თანაცხოვრებაზე. მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები არის ძალიან მცირე[54].

თუ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში წყვილები შერიგდნენ, საქმე წარმოებით წყდება, თუ სასამართლომ წყვილებს შესარიგებლად მისცა გარკვეული

---

[52] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ.144

[53] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. „სამართალი“ , 2000, გვ.68

[54] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 242–244

ვადა და ამ ვადაში გამოვლინდა ისეთი გარემოება რის საფუძველზეც შეუძლებელია მეუღლეების ოჯახური თანაცხოვრება, სასამართლოს შეუძლია შეამციროს ვადა და დაიწყოს განქორწინების პროცესი[55]

აღსანიშნავია, განქორწინების შემდეგ მეუღლის გვაის შენარჩუნების საკითხიც,სამოქალაქო კოდექსის თანახმად, თუ მეუღლემ დაქორწინების დროს გვარი შეიცვალა უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი.[56]

განქორწინების მოოწმობას გასცემს სარეგისტრაციო ორგანო, განქორწინების მოწმობის გაცემისას დაწესებულია ბაჟის გადახდა. ბაჯის ოდენობას ადგენს სასამართლო და ასევე სასამართლო ადგენს რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს ბაჟი. არის შემთხვევები როდესაც სასამართლო ორივე მეუღლეს აკისრებს ბაჟის გადახდას და ზუსტად განსაზღვრავს თვითოეული მათგანის გადასახად წილს. ბაჯის ოდენობა განისაძღვრება მეუღლეთა სოციალური მდგომარეობიდან და მათი ბრალეულობიდან გამომდინარე.[57]

განქორწინების შესახებ, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ უნდა მოხდეს მისი რეგისტრაცა სარეგისტრაციო ორგანოში. მხოლოდ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ ნიშნავს განქორწინებას ეს მხოლოდ განქორწინების პირველი ეტაპია. სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილება ხუთსამუშაო დღეში გაუგზავნოს რეგისტრაციის ორგანოს, განქორწინების რეგისტრაცია არის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტულების აღსრულრბა. და ამის შემდეგ წყვილები განქორწინებულად ჩაითვლებიან. ასევე განქორწინების რეგისტრაციისთვის საჭიროა მეუღლეებმა ან ერთ–ერთმა მეუღლემ მიმართოს სარეგისტრაციო ორგანოს წარადგინოს სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი და ბაჟის გადახდის ქვითარი მხოლოდ ამის შემდეგ მოახდენს სარეგისთრაციო

[55] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ. 111
[56] ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 249
[57] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 96

ორგანო განქორწინების რეგისტრაციას და წყვილები განქორწინებულად გამოცხადდებიან.

განქორწინების შემდეგ ყოფილ მეუღლეებს უფლება აქვთ თავიაანთი ცხოვრება წარმართონ თავიაანთი სურვილის შესაბამისად.[58]

ჩემი აზრით, სასამართლო წყვილებს განქორწინებაზე უარს არ უნდა ეუბნეოდე, მაშინ როდესაც ორივე მეუღლე თანახმაა, რადგან ეს არის პირის უფლებების შეზღუდვა, წყვილებს თუ სურთ შერიგება ისედაც შერიგდებიან სასამართლოს მიერ მიცემულ შესარიგებელ ვადაში თუ არა განქორწინების შემდეგაც შეუძლიათ მათ თავიდან დაქორწინება.

[58] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 96–99

2.3. განქორწინება მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოში

განქორწინება შეიძლება განხორციელდეს სასამართლოში, ან მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრავიის ორგანოში.

თანამედროვე ქვეყნებში, რეგისტრაციის ორგანოს მეშვეობით განქორწინება ერთ–ერთი ცივილური ფორმა, სადაც საკმაოდ მარტივად ყოველგვარი დავის და გართულებების გარეშე ხდება მეუღლეთა განქორწინება.[59]

რეგისტრაციის ორგანოში განქორწინება ხდება მხოლოდ ორი გარემოების არსებობის შემთხვევაში. ერთია როცა ორივე მეუღლე განქორწინებაზე თანახმაა და ორივეს ერთად შეაქვთ განცხადება, როცა მათ შორის არ არსებობს რაიმე სახის ქონებრივი დავა, დავა არასრულწლოვან შვილებთან დაკავშირებით, მათ ეს საკითხები წინასწარ ააქვთ გათვალისწინებული და მოგვარებული. მაგალითად ვისთან დარჩება ბავშვი რომელი მათგანი გადაიხდის ალიმენტს, ადრე არასრულწლოვანი ბავშვის არსებობა ქორწინებაში პრობლემას წარმოადგენდა და მისი არსებობის შემთხვევაში წყვილებს არშეეძლოთ მარეგისტრირებელი ორგანოს საშუალებით განქორწინებულიყნენ, მაგრამ ახალი კანონმდებლობით არარულწლოვანი ბავშვი აღარ წარმოადგენს პრობლემას და არ არის დამაბრკოლებელი გარემოება მარეგისტრირებელი ორგანოსათვის, თუ წყვილებს შორის სხვა სადაო საკითხი არ

[59] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ. 120

არსებობს. რეგისტრაციის ორგანო არ იკვლევს მიზეზებს, რატომ სურს მეუღლეებს განქორწინება ეს მისი ინტერესის წყაროს არ წარმოადგენს მისთვის მთავარია ორივე მეუღლის თანხმობა.

სარეგისტრაციო ორგანომ ერთ–ერთი მეუღლის დაუსწრებლადაც შეიძლება მიიღოს გადაწვეტილება თუ მეუღლეს ააქვს მიუსვლელობის საპატიო მიზეზი მაგალიიათად ავადმყოფობა.

რეგისტრაციის ორგანო გადაწყვეტილებას მიიღებს განცხადების შეტანიდან ხუთ სამუშაო დღეში, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება იმავე დღეს მოახდინოს მეუღლეთა განქორწინება, თუ ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში წყვილებმა გადაიფიქრეს განქორწინება რეგისტრაციის ორგანო შეაჩერებს განქორწინების პროცესს, ორგანო მაშინაც შეაჩერებს საქმის წარმოებას თუ ერთ–ერთი მეუღლე გადაიფიქრებს განქორწინებას და არ იქნება ორივე მეუღლის თანხმობა, მაშინ განქორწინების მსურველ მეუღლეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს განქორწინების მოთხოვნით.

როგორც უკვე ავღნიშნეთ რეგისტრაციის ორაგანოს შეიძლება მიმართოს მხოლოდ ერათმა მეუღლემაც, ეს ის შემთხვევაა, როდესაც ერთი მეუღლე უგზო უკლოდ დაკარგულად ითვლებ და მეორე შემთხვევაა როცა ერთი მეუღლე მსჯავდებულია და მისჯილი აქვს თავისულლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლით.[60] არსებულ შემთხვევაში პატიმრის თანხმობა საჭირო არ არის მაგრამ რეგისტრაციის ორგანო მათ ეკითხებათ ხომ არ არსებობს რაიმე სადაო საკითხი, თუ პატიმარ მეუღლეს პრეტენზია გაუჩნდება ქონებასთან, ან ბავშვებთან დაკავშირებით მარეგისტრირებელი ორგანო საქმეს აღარ განიხილავს და განქორწინება მოხდება სასამართლო წესით. რეგისტრაციის ორგანო პატიმარ მეუღლეს აძლევს ერთ თვიან ვადას, თუ პატიმრობაში იმყოფება უცხო ქვეყანაში ექვს ათვიან ვადას ამ ვადაში პატიმარმა ორგანოს უნდა დაუბრუნოს პასუხი სადაო საკითხების არსებობა

[60] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 86–87

არარსებობასთან დაკავშირებით. თუ არსებული ვადის განმავლობაში პასუხს არ დაუბრუნებს რეგისტრაციის ორგანო ავტომატურად მოახდენს განქორწინებას.[61]

განსაკუთრებით აღსანიშნავია თუ რა ხდება მაშინ, როდესაც ერთ–ერთი მეუღლე გარდაცვლილად უგზოუკლოდ დაკარგულად არის გამოცხადებული და მეორე მეუღლე რეგისტრაციის ორგანოს მეშვეობით განქორწინდება მასზე, რამოდენიმე ხანში კი დადასტურდება მისი ცოცხლად ყოფნის ფაქტი. ამ შემთხვევაში ორივე პირმა შეუძლია მიმართოს რეგისტრაციის ორგანოს და მოითხოვოს ქორწინების აღდგენა, მაგრამ ქორწინება ვერ აღდგება თუ უგზოუკლოდ დაკარგული პირის მეუღლე სხვაზე დაქორწინდება.[62] არსებილი ფაქტი შეიძლება წარმოადგენდეს დამაფიქრებელ გარემოებას ხომ არ ირღვევა პირველი მეუღლის უფლებები რომელიც უგზოუკლოდ დაკარგულად იქნა გამოცხადებული.

[61] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 1998, გვ. 123

[62] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 95–96

2.4. მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულება

ქორწინებაში მყოფი მეუღლეები ვალდებულები არიან მატერიალურად დაეხმარონ ერთმანეთს, არ აქვს მნიშვნელობა ისინი ერთად ცხოვრობენ თუ არა ან საერთოდ აქვთ თუ არა ცოლქმრული ურთიერთობა, მთავარია არსებობს მათი ქორწინების რეგისტრაციის მოწმობა. ხშირად ერთი მეუღლე საკუთარი ნებით ეხმარება მეორე მაეუღლეს, რადგან მიიჩნევს რომ ეს მისი ვალდებულებაა, მაგრამ არის შემთხვევები როდესაც მეუღლეები უარს აცხადებენ მეუღლის დახმარებაზე, ამ შემთხვევაში მეუღლეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მატერიალური დახმარება

მეუღლეს მატერიალური დახმარების მოთხოვნის უფლება ააქვს თუ ის შრომისუუნაროა, ორსულადაა ან ქორწინებაში ყაავს სამ წლამდე ბავშვი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომისუუნარო მეუღლის მატერიალური დახმარბის ვალდებულება. მეუღლე ვალდებულია დაეხმაროს შრომისუუნარო მეუღლეს მაგრამ არსებილი ვალდებულება არ იარსებებს თუ შრომისუუნარო მეუღლეს ააქვს გარკვეული შემოსავალი გარკვეული ქონება და თავისუფლად შეუძლია თავის რჩენა, თუ შრომისუუნარო მეუღლე ამ შემთხვევაშიც მიმართავს სასამართლოს და

მოითხოვს მეუღლისგან მატერიალურ დახმარებას, სასამართლო უარს ეტყვის დახმარებაზე.

შრომისუუნაროდ ითვლება საპენსიო ასაკს მიღწეული პირი, ინვალიდი, და პირი რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია შრომა და თავის რჩენა. არ აქვს მნიშვნელობა შრომისუუნარობა დადგა ქორწინებამდე თუ ქორწინების შემდეგ შრომისუნარიანი მეუღლე ვალდებული იქნება შეინახოს შრომისუუნარო მეუღლე, მაგრამ სასამართლო ითვალისწინებს შრომისუნარიანი მეუღლის მატერიალურ მდგომარეობასაც, თუ დადგინდა რომ მისი შემოსავალი იმდენად მცირეა რომ ალიმენტის დაკისრება გამოიწვევს მისი საარსებო წყაროს მოსპობას სასამართლო უარს იტყვის ალიმენტის დაკისრებაზე.

ალიმენტის გადახდის ვალდებულება ქმარს ეკისრებ როდესაც ცოლი ორსულადაა ან ქორწინებაში ყაავთ სამ წლამდე ბავშვი. ორსულ მეუღლეს განსაკუთრებული მოვლა და მატერიალური დახმარება ჭირდება ამიტომ ქმარი ვალდებულია დაეხმაროს და ალიმენტი გადაუხადოს ორსულ ცოლს. ეს ალიმენტის გადახდის პირველი საფეხურია, მეორეა როდესაც დაიბადება ბავშვი და არ აქვს მიღწეული სამ წელს. ამ ორ შემთხვევაში სხვადასხვაა ალიმენტის გადახდის ოდენობა. სასამართლო ითვალისწინებს ალიმენტის გადამხდელი მეუღლის მატერიალურ მდგომარეობას და ამის მიხედვით განსაზღვრავს ალიმენტის ოდენობას.

ჩვენ განვიხილეთ, ალიმენტის გადახდა განქორწინებამდე ახლა ვისაუბრებთ როგორ ხდება ალიმენტის გადახდა მეუღლეთა განქორწინების შემდეგ.

განქორწინების შემდეგ განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შრომისუუნარობის დადგომის პერიოდს, როდის გახდა მეუღლე შრომისუუნარო დაქროწინებამდე, ქორწინების პერიოდში თუ განქორწინების შემდეგ.

თუ მეუღლე დაქორწინებამდე იყო შრომისუუნარო, მაშინ შრომისუნარიანი მეუღლე არ იქნება ვალდებილი განქორწინების შემდეგ გადაუხადოს მას ალიმენტი.

თუ მეუღლე ქორწინების პერიოდში გახდა შრომისუუნარო, განქორწინების შემდეგ შრომისუნარიანი მეუღლე ვალდებული იქნება გადაუხადოს მას ალიმენტი.

თუ მეუღლე განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში გახდა შრომისუუნარო, შრომისუნარიან მეუღლეს დაეკისრება მისი რჩენის ვალდებულება, ალიმენტის გადახდა

შრომისუუნარო მეუღლეს რამოდენიმე შემთხვევაში შეიძლება ეთქვას უარი, ალიმენტის მიღებაზე. არსებული შემთხვევებია: შრომისუნარიანი მეუღლის დაბალი შემოსავალი, როდესაც ალიმენტის გადახდა მოუსპობს მასი არსებობისთვის საარსებო პირობებს. სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს ალიმენტის მიღებაზე, თუ მოსარჩელე უღირსად მოიქცა მოპასუხე მეუღლის წინაშე, მაგალითად უღალატა ნა გარკვეული დამამცირებელი ქმედება განახორციელა მისი ღირსების წინააღმდეგ.

ქორწინების ხანმოკლე ვადაც შეიძლება იყოს სასამართლოს მიერ, ალიმენტზე უარის თქმის საფუძველი. ხანმოკლე ვადად შეიძლება ჩაითვალოს წყვილის ქორწინებაში ყოფნის ერთი ან ორი წელი

ალიმენტის გადახდის ვალდებულებისგან სასამართლო შრომისუნარიან მეუღლეს ანთავისუფლებს თუ მოსარჩელემ ჩაიდინა განძრახ დანაშაული.

სასამართლოს უფლება აქვს შრომისუნარიანი მეუღლე გაანთავისუფლოს ალიმენტის გადახდისაგან, თუ შრომისუუნარო მეუღლემ ლოთობით ან ნარკოტიკული საშუალების გამოენებით თვითონ ჩაიგდო თავი ამ მდგომარეობაში. ეს ის შემთხვევებია როდესაც სასამართლო პირს ანთავისუფლებს ალიმენტის გადახდისგან.[63]

ალიმენტის მიღების უფლება არ შემოიფარგლება გარკვეული ვადით, ალიმენტი უნდა გადაიხადოს პირმა იქამდე სანამ არსებობს ალიმენტის გადახდის საჭიროება.

სასამართლო ალიმენტად აწესებს განსაზღვრულ თანხას, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ თანხა უცვლელია მისი ოდენობა შეიძლება შეიცვალოს მოპასუხის ეკონომიკური მდგომარეობის ცვალებადობასთან ერთად.

---

[63] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 191–193

მეუღლეებს შორის საალიმენტო ურთიერთობა შეიძლება შეწყდეს, თუ შრომისუუნარო მეუღლეს აღუდგა შრომის უნარი, ან გაუმჯობესდა მისი მატერიალური მდგომარეობა დაენიშნა პენსია, ხელფასი, მიიღო მემკვიდრეობით დიდი ქონება, თუ ქალს ბავშვი მოსცილდა, თუ ქორწინებაში მოფი სამ წლამდე ბავშვი ასაკს მიუღწევლად გარდაიცვალა, თუ სარჩოს მიმღები მეუღლე ხელახლა დაქორწინდა.[64]

ჩემსმიერ გამოყენებულ ნაშრმებში არაფერია ნათქვამი, რა ხდება მაშინ თუ ორსული მეუღლე განქორწინების შემდეგ სხვაზე დაქორწინდა, მუცლად მყოფი ბავშვი კი ყოფილი მეუღლის არის, დაეკისრება თუ არა ყოფილ მეუღლეს ორსული მეუღლის შენახვის ხარჯების ანაზღაურება, მაგალითად კვებითი ხარჯების?

ურთიერთრჩენის ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხებში, ჩემი აზრით, ცვლილებებია შესატნი, მაგალითად რატომ უნდა გადაეხადოს ყოფილ შრომისუუნარო მეუღლეს ალიმენტი როდესაც შრომისუუნარობა დადგა განქორწინების შემდეგ და რატომ არ უნდა გადაეხადოს შრომისუუნარო მეუღლეს ალიმენტი იმ მიზეზით რომ დაქორწინებამდე იყო შრომისუუნარო.

[64] რ. შენგელია, ე.შენგელია, საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2017, გვ. 147-148

2.5. ქორწინების ბათილობა

ქორწინების რეგისტრაციას, წყვილების დაქორწინებას, ახორციელებს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანო მიუხედავად იმისა რომ ორგანის მიერ გაცემული მოწმობა კანონიერია და სამართლებრივი ძალა გააჩნია შესაძლებელია მოხდეს მისი გაუქმება და ქორწინება ბათილად გამოცხადდეს.[65]

ქორწინების ბათილად ცნობას ახდენს მხოლოდ სასამართლო არცერთ სხვა ორგანოს არ აქვს უფლება მოახდინოს ქორწინების ბათილობა. ბათილი ქორწინება, ბათილია ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან და მეუღლეთა შორის არანაირ უფლება მოვალეობებს არ წარმოშვებს.[66] სწორედ ეს განსხვავებაა ქორწინების ბათილობას და განქორწინებას შორის. ასევე ერთ–ერთი მთავარი განმასხვავებელი

[65] შ. ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2004, გვ. 255
[66] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997, მ. 1141–1146

ნიშანი მათ შორის არის ორგანოები რომლებიც ახდენენ განქორწინებას და ქორწინბის ბათილად ცნობას. ქორწინების ბათილობა განქორწინებისგან განსხვავებით შეიძლება მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს მეშვეობით, როცა განქორწინება შეიძლება მოახდინოს როგორც სასამართლომ ასევე სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ. ზოგჯერ წყვილებმა წინასწარ იციან, რომ მათ ქრწინებაში არის ბათილი ქორწინების ნიშნები და მაინც ქორწინდებიან, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც წყვილები ბათილობის ნიშნებთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ, ასეთი ქორწინება ბათილობამდე წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს რასაც ნამდვილი ქორწინება, მაგალითად თუ ასეთი ქორწინების დროს ერთ–ერთმა მეუღლემ შეიცვალა გვარი ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც ააქვს ამ გვარის ტარების უფლება, თუ ასეთ ქორწინებაში ან ქორწინების შეწყვეტის შემდეგაც გაჩნდა ბავშვი მას მშობლებთან ყველანაირი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობა უნარჩუნდება.

ქორწინების ბათილობის ერთ–ერთი მთავარი საფუძველია არასრულწლოვან პირთან ქორწინება, პირთან რომელსაც არ მიუღწევია თვრამეტ წელს, მაგრამ ბათილობის საფუძვლები მოიხსნება თუ არასრულწლობანმა ქორწინების პერიოდში მიაღწია სრულწლოვნობის ასაკს ან ორსულადაა. ბათილობის საფუძვლების მოხსნა არ არ გამორიცხავს ქორწინების ბათილობას, მაგალითად თუ არასრულწლივანი მეუღლე სრულწლოვნობის მიღწევის შემდეგ მოითხოვს ქორწინების ბათილობას, ქორწინება ბათილად გამოცხადდება.

ქორწინების ბათილობის ერთ–ერთი მთავარი საფუძველია იძულებითი ქორწინება, როდესაც ერთ მეუღლეს არ სურს დაქორწინება და ფიზიკური თუ ფსიქიკური მუქარით აიძულებენ ქორწინებისკენ.[67]

იძულეითი ქორწინების ფაქტის დადგენის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ და მხოლოდ დასამართლო ორგნოს.[68]

---

[67] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 131

ფსიქიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს მუქარით, როდესაც პირს ემუქრებიან, საკუთარი ან ახლობლის სიცოცხლის მოსპობით, პატივის და ღირსების წინააღმდეგ მიმართული ქმედების განხორციელებით. იძულებითი ქორწინების ერთ–ერთ სახეს წარმოადგენს ქალის მოტაცება, ქორწინების მიზნით, რომელიც ქორწინების ბათილობის საფძველია, მაგრამ თუ მოტაცება ხდება ქალის ნებართვით ეს არ შეიძლება გახდეს ქორწინების ბათილობის საფუძველი.

იძულებითი ქორწინების მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ქალი ასევე კაციც, ამიტომ კაცსაც აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ქორწინების ბათილობა. სასამართლო იკვლევს მართლაც არსებობს თუ არა იძულების ნიშნები თუ სასამართლო დარწმუნდება რომ ქორწინება იძულებითია გამოიტანს გადაწყვეტილებას ქორწინების ბათილად ცნობის შესახებ.[69]

ქორწინების ბათილობის საფუძველია ერთ–ერთი მეუღლის ორ ქორწინებაში ყოფნა. ქართული კანონმდებლობა არ ცნობს ორ ცოლიანობას ან ორ ქმრიანობას, და თუ მსგავსი ფაქტი დაფიქსირდა სასამართლო მეორე ქორწინებას ბათილად გამოაცხადებს. არ აქვს მნიშვნელობა მეორე მეუღლემ იცოდა თუ არა, რომ მისი მეუღლე პირველ ქორწინებაში იყო სხვა პირთან.[70]

არც კანონმდებლობაში და არც ჩემს მიერ გამოყენებულ ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი რა ხდება მაშინ, როდესაც პირს პირველ ქორწინებაში არ ყავს შვილი და მეორე ქორწინებაში მყოფ მეუღლესთან გაუჩნდა ბავშვი ან მეორე მეუღლე ორსულადაა, სასამართლო ორსულობის პერიოდში ან ბავშვის ერთ წლამდე მიუღწევლობის პერიოდში გამოაცხადებს თუ არა ქორწინებას ბათილად როდესაც ორსულმა მეუღლემ არ იცის რომ მისი ქმარი პირველ ქორწინებაში იმყოფება სხვა ქალთან, ცუდად ხომ არ იმოქმედებს ამ ფაქტის გამჟღავნება ორსული ქალის

---

[68] საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ., 1997, მ. 1144

[69] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 133–134

[70] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 134

ჯანმრთელობის მდგომარეობაზე? რა ზომები შეიძლება მიიღოს სასამართლომ ამ შემთხვევაში?

ბათილობის საფუძველია, ქორწინება აღმავალ–დაღმავალ ნათესავებს შორის, არ აქვს მნიშვნელობა იცოდნენ თუ არა მათ ამის შესახებ, ფაქტის დადგენის მომენტიდან სასამართლო ასეთ ქორწინებას ბათილად გამოაცხადებს. ბათილია ქორწინება ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და ძმებს შორის, აქაც არ ქვს მნიშვნელობა იცოდდნენ თუ არ მათ არსებული ნათესაური კავშირის შესაებ. რადგან ქართული კანონმდებლობა თუ სარწმუნოება ეწინააღმდეგება სისხლის აღრევას, ნათესავებს შორის ქორწინებას.

კანონმდებლობა კრძალავს არამარტო სისხლით ნათესავებს შორის ქორწინებას, არამედ აკრძალულია ქორწინება, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის, მიუხედავად იმისა რომ სისხლის აღრევასთან საქმე არ გვაქვს.

ქორწინება ბათილად შეიძლება იქნას გამოცხადებული, თუ დადგინდა რომ ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით არ მომხდარა და მოხდა მაგალითად მატერიალური სარჩოს მიღების საფუძველზე, თუ ამასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდა მეორე მეუღლე, ინფორმაციის მიღების შემდეგ, შეუძლია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს ქორწინების ბათილობა, თუ ორივე მეუღლეს წინასწარ ქონდათ განსაზღვრული მსგავსი ქმედება, ქორწინების ბათილად ცნობა შეუძლია მოითხოვოს სარეგისტრაციო ორგანომ.

ქორწინების ბათილობა სასამარლოს უფლებაა და არა ვალდებულება, შეუძლია გააბათილოს მხოლოდ მაშინ თუ გაბათილების აუცილებლობა არსებობს, მაგალითად ქორწინების ბათილობა აუცილებელი და სავალდებულოა თუ სისხლის ნათესავები დაქორწინდნენ, ყველა სხვა შემთხვევაში ქორწინების ბათილობის მომენტი შეიძლება შეიცვალოს და ქორწინება ბათილად აღარ იყოს ცნბილი. ქორწინების ბათილად ცნობის უფლება აქვს სარეგისტრაციო ორგანოს, თვითონ მეუღლეებს, და იმ პირებს

რომელთა უფლებებიც დაირღვა მსგავსი ქორწინებით და ასევე მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს.[71]

კანონმდებლობის თანახმად, არ შეიძლება ქორწინება ბათილად გამოცხადდეს, თუ იგი ანგარერების საფუძველზე შეიქმნა, მაგრამ კანონმდებელი, აქვე დასძენს ქორწინება ბათილად გამოცხადდება თუ პირმა ოჯახი შექმნა იმიტომ, რომ მიეღო მემკვიდრეობა ან გარკვეული მატერიალური სარჩო, ჩემი აზრით ესაც ანგარებით შექმნილი ქორწინებაა და თუ ანგარებას კანონი გამორიცხავს როგორც ბათილად ცნობის საფუძველს, არც ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზები არ უნდა გახდეს ბათილად ცნობის მოტივი.

ქორწინების ბათილობას უკუქცევითი ხასიათი გააჩნია, იგი რეგისტრაციის მომენტიდანვე არ წარმოშვებს, მეუღლეთა შორის უფლება მოვალეობებს, ასეთი ქორწინება თავიდანვე არარსებულად ითვლება[72] თუ ქორწინების ბათილად ცნობის შემდეგ მათ შორის წარმოიშვა ქონებრივი დავა, გადაწყდება როგორც კერძო პირებს შორის წარმოშობილი დავა, რადგან მათ მიერ შექმნილი ქონება თანაზიარი არ არის. არსებული ქონების გაყოფა მოხდება არა საოჯახო სამართლის არამედ წმინდა სამოქალაქო სამართლის ნორმების საფუძველზე. ქორწინების ბათილობის შემდეგ თუ ერთი პირი გადავიდა მეორის გვარზე კარგავს ამ გვარის ტარების უფლებას. შრომისუუნარო მეღლის შემთხვევაში, შრომისუუნარო მეუღლეც ბათილობეს შემდეგ კარგავს მეუღლისგან სარჩოს მიღების უფლებას, გარდა იმ შემთხვევაში, თუ შრომისუუნარო პირმა არ იცოდა ბათილობასთან დაკავშირებული მიზეზების შესახებ, ის მოატყუეს. ამ შემთხვევაში მას აქვს სარჩოს მიღების მოთხოვნის უფლება და ასევე შეუძლია მოითხოვოს თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი ქონების ნახევარი. ასევე კეთილსინდისიერ მეუღლეს შეუძლია ატაროს ქორწინების დროს მიღებული გვარი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ქორწინობის ბათილობას ახდენს სასამართლო და ამის შესახებ აცნობებს იმ სარეგისტრაციო ორგანოს, რომელმაც ეს ქორწინება

---

[71] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 136

[72] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, თბ., გამომც. „სამართალი“ , 2000, გვ. 94

გააფორმა. ქორწინების ბათილობის მიზეზი მუდმივი არ არის ამიტომ ამ მიზეზის აღმოფხვრიდან ნებისმიერ დროს შეეძლებათ გაბათილებულ ქორწინებაში მყოფ პირებს ხელახლა დაორწინდნენ.[73]

[73] რ. შენგელია, ე. შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2011, გვ. 141–143

თავი III. კვლევის შედეგები

საკვლევი თემის აღწერამ, გაგვაცნო და დაგვაფიქრა, ბევრი საინტერესო ფაქტზე.

კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენდა, საკვლევი თემის ძირფსვიანად შესწავლა, გარკვეული პრორობლემების გამოვლენა, არსებულ პრობლემებზე მსჯელობა და მისი გადაჭრის გზების ძიება.

კვლევის აღწერის თანახმად, მივიღეთ ინფორმაცია თუ როგორ ხდებოდა განქორწინება ძველ მონათმფლობელურ და ფეოდალურ ქვეყნებში, რომ გენდერული თანასწორობა დარღვეულია, რომ ქალის კულტი და გავლენა საკმაოდ დაბალია, რაც იმ პერიოდის უდიდესი პრობლემა იყო რომლის აღმოფხვრაც მოხდა დროის განვითარებასთან ერთად.

კვლევის აღწერამ გვიჩვენა, რომ განქორწინების გამარტივებულ ფორმა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოა, სადაც საკმაოდ მარტივად და მოკლე ხანში ხდება განქორწინება, რომ სადაო საკითხის არარსებობის შემთხვევაში პირს შეუძლია მიმართოს არა სასამართლოს არამედ რეგისტრაციის ორგანოს.

კვლევის აღწერის დროს გავეცანით მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულებას და ვისაუბრეთ ქორწინების ბათილობაზე

არსებულმა თემამ დაგვაფიქრა, პრობლემაზე და კანონმდებლობაში შესატან ცვლილებებზე.

ერთ–ერთ მნიშვნელოვან პრობლემას რომელსაც კვლევის აღწერის დროს შევხვდით, არის მეუღლეთა ურთიერთრჩენის ვალდებულებაში. როგორც ვიცით, რიგ შემთხვევებში, განქორწინების შემდეგ შრომისუნარიან მეუღლეს ეკისრება შრომისუუნარო მეუღლის რჩენის ვალდებულება. კანონმდებლობის თანახმად თუ ერთი მეუღლე დაქორწინებამდე იყო შრომისუუნარო განქორწინების შემდეგ შრომისუნარიან მეუღლეს არ ეკისრება მისი რჩენის ვალდებულება, რაც ჩემი აზრით, კანონმდებლობის უდიდესი პრობლემაა, ამით ირღვევა შრომისუუნარო მეუღლის

ძირითადი უფლებები, რადგან დაქორწინებამდე და განქორწინების შემდეგ სხვადასხვა სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს, აღარ ყავდეს გვერდით ის ადამიანები რომლებიც დაქორწინებამდე მის გვერდით იყვნენ და ზრუნავდნენ მის ჯანმრთელობაზე. ამიტომ კანონმდებლობაში შეტანილი უნდა იქნას ცვლილებები, რომლის საფიძველზეც, შრომისუუნარო მეუღლე სარჩოს გარეშე არ დარჩება.

შემდეგი პრობლემაც ურთიერთრჩენის ვალდებულებასთან არის დაკავშირებული. კანონში პირდაპირ წერია, თუ შრომისუუნარობა დადგა განქორწინებიდან ერთი წლის განმავლობაში ყოფილ მეუღლეს დაეკისრება შრომისუუნარო მეუღლის რჩენის ვალდებულება, რაც ჩემიაზრით რეალობას სცილდება, რატომ უნდა დაეკისროს ყოფილ მეუღლეს, შრომისუუნარო მეუღლის რჩენის ვალდებულბა? როდესაც მათ შორის არანაირი ცოლქმრული კავშირი აღარ არსებობს და ისინი სამართლებრივად ცალკ–ცალკე სუბიექტებს წარმოადგენენ. ალოგიკურია, როდესაც პირს ცოლად მოყავს შრომისუუნარო მეუღლე და განქორწინების შემდეგ არ ეკისრება მისი რჩენის ვალდებულება, მაშინ როდესაც განქორწინების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში შრომისუნარობის დადგომის შემთხვევაში, კანონმდებელი ყოფილ მეუღლეს აკისრებს ალიმენტის გადახდის ვალდებულებას შრომისუუნარო მეუღლისათვის.

ერთ–ერთი პრობლემა ეხება კანონში დათქმის არარსებობას. კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი, რა ხდება მაშინ როდესაც ქალი სხვა კაცისგან არის ორსულად, აქვს თუ არა ქმარს უფლება მოითხოვოს განქორწინება, შალვა ჩიკვაშვილის აზრით, რადგან კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი ამასთან დაკავშირებით კაცს არ უნდა მეცს განქორწინების მოთხოვნის უფლება, რასაც სრულებით არ ვეთანხმები და მიმაჩნია რომ კაცს უნდა მიეცეს განქორწინების უფლება, რადგან მუცელში მყოფი ბავშვის წინაშე არანაირი ვალდებულება არ გააჩნია. კარგი იქნება თუ კანონმდებლობაში ამასთან დაკავშირებით მოხდება დათქმის გაკეთება, რომ

თავიდან იქნას აცილებული პრობლემები რასაც კანონში გარკვეული საკითხის ბუნდოვნებას და არარსებობა ახლავს თან.

კანონმდებლობის თანახმად, ქალს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს განქორწინება კაცს კი ეს უფლება ეზღუდება როდესაც ქალი ორსულადაა ან ქორწინებაში ყაავთ ერთ წლამდე ბავშვი, პრობლემატურია საკითხი, რატომ შეუძლია ქალს განქორწინების მითხოვნა ერთ წლამდე ასაკის ბავშვის ყოლის შემთხვევაში და კაცს არა. თუ კანონმდებელმა ეს ნორმა ბავშვის ინტერესების დასაცავად მიიღო დედის გადაწყვეტილება რატომ არ არღვევს ბავშვის ინტერესს? ჩემი აზრით, თუ ერთწლამდე ასაკის ბავშვის ყოლის შემთხვევაში კაცს არ ეძლევა განქორწინების მოთხოვნის უფლება ეს უფლება არც ქალს უნდა მიეცეს რადგან მისი გადაწყვეტილებაც ბავშვის ინტერესების საწინააღმდეგო იქნება.

კანონმდებლობა უშვებს, მშობლების განქორწინების შემდეგ ბავშვების ერთმანეთთან დაცილებას, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, როდესაც,ერთ–ერთ მეუღლეს არ აქვს ყველა ბავშვის შენახვის საშუალება. ნაწილობრივ პრობლემატურად მიმაჩნი არსებული საკითხიც, რამდენად შესაძლებელი იქნება მსგავსი პრობლემების მოგვარება ბავშვების ერთი მშობლისთვის გადაცემა მათი არ დაშორების მიზნით, წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია მაგრამ კარგი იქნება თუ სასამართლო ბავშვებს არ დააცილებს, ერთ მეუღლეს გადასცემს აღსაზრდელად ხოლო მეურე მეურლეს დააკისრებს ვალდებულებას მიიღოს მინაწილეობა ბავშვების აღზრდაში და ფინანსურად დაეხმაროს მათ.

არის შემთხვევები, როდესაც სასამართლო წყვილებს უარს ეუბნევა განქორწინებაზე და მოუწოდებთ შერიგებისკენ, ჩემი აზრით ამ გადაწყვეტილებით იზღუდება პირის თავიუფალი ნება, სასამართლო არ უნდა იყოს უფლებამოსილი ორ საღად მოაზროვნე პიროვნებას შეუძღუდოს თავისუფალი ნება, ამით ვერ აღმოფხვრის პრობლემას რადგან წყვილებს რომელთაც სურთ განქორწინება მოგვიანებით მაინც დააყენებენ განქორწინების საკითხს, თან სრულებით საკმარისია სასამართლოს მიერ

წყვილებისთვის მიცემული დასაფიქრებელი ვადა, რა ვადაშიც წესით წყვილები აცნობიერებენ ნამდვილად სურთ თუ არა განქორწინება. განქორწინებაზე უარი ჩემთვის მიუღებელია რადგან წყვილებს განქორწინების შემდეგაც შეუძლიათ დაქორწინება თუ მიხვდნენ რომ შეცდომა დაუშვეს.

შემდეგი პრობლემები ეხება, ქორწინების ბათილად ცნობასთან დაკავშირებულ სკითხებს. კანონში ჩამოთვლილია მიზეზები რა შემთხვევაში შეიძლება გამოცხადდეს ქორწინება ბათილად. ქორწინების ბათილობის ერთ–ერთი მიზეზია ქონების ან სხვა მატერიალური სარჩოს მიღების მიზნით ოჯახი შექმნა, მაგრამ აქვე წერია ანგარების საფუძველზე შექმნილი ქორწინება არ შეიძლება ბათილად გამოცხადდეს. ჩემი აზრით ანგარებაა პირველი მიზეზიც როდესაც პირი ოჯახს ქმნის მემკვიდრეობის მიღების მიზნით და თუ ანგრება არ შეიძლება იყოს ქორწინების ბათილობის მიზეზი მაშინ მსგავსი ქორწინებაც არ უნდა გამოცხადდეს ბათილად.

ქართული კანონმდებლობა კრძალავს ორ ქორწინებას, არსებული ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში უქმდება მეორე ქორწინება, მაგრამ არაფერია ნათქვამი რა ხდება მაშინ როდესაც მეორე ქორწინებაში მყოფი კაცის მეუღლე ორსულადაა, და ქალმა არ იცის ქმრის პირველი ქორწინების შესახებ. რამდენად მისაღებია ეს ქორწინება ბათილად გამოცხადდეს და უარყოფითათ ხომ არ იმოქმედებს მსგავსი ინფორმაციის გამჟღავნება ორსული ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე? და ხომ არ აჯობებს თავი შეიკაოს სასამართლომ მსგავსი ქორწინების ბათილად გამოცხადებისგან.

კანონმდებლობის თანახმად, სასამართლოს მიერ, უგზოუკლოდ გამოცხადებული მეუღლის დაბრუნების შემთხვევაში, თუ მისი მეუღლე სხვა პირზეა დაქორწინებული, მეორე ქორწინება ბათილად არ გამოცხადდება და უგზოუკლოდ გამოცხადებულ მეუღლესთან შეუღლების უფლება მიეცემა, მხოლოდ მეორე ქორწინებაში მყოფ პირთან განქორწინების შემთხვევაში. მაგრამ თუ არ მოუნდება დაბრუნება ყოფილ მეუღლესთან იმჯამინდელი ქორწინება შენარჩუნდება, გარკვეულ

პრობლემას ვაწყდებით ამ საკითხთან მიმართებაშიც. ხომ არ ირღვევა უგზოუკლოდ დაკარგილი მეუღლის უფლებები როდესაც მისი ნების გაუთვალისწინებლად მოხდა განქორწინება? ხომ არ ართმევს კანონი პირს მეუღლესთან თანაცხოვრების უფლებას? ჩემი აზით უმჯობესი იქნება თუ ორივე ქორწინება გაუქმდება და თავიდან გადაწყდება ქორწინების საკითხი სასამართლო ორგანოს მეშვეობით.

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები საკმაოდ მნიშვნელოვანია და კარგი იქნება კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა მსგავსი პრობლემების აღმოსაფხვრელად.

დასკვნა

ამრიგად განქორწინება უძველესი დროიდან მომდინარეობდა და სხვადასხვა პერიოდში განსვავებული სიხშირიდ გვხვდებოდა, განქორწინების სრულიად აკრძალვა არცერთ პერიოდში არ ჩანს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, განქორწინება საქართველოში ხდება სასამართლო ორგანოს და მარეგისტრირებელი ორგანოს მეშვეობით, თუ წყვილებს შორის რაიმე სადაო საკითხი არ წარმოიშვა.

ვისაუბრეთ ასევე ქორწინების ბათილად ცნობაზე და განქორწინებასთან მიმართებაში მის განმასხვავებელ საკითხებზე.

მიმოვიხილეთ ურთიერთრჩენის ვალდებულებასთან დაკავშირებული საკითხები და ვისაუბრეთ ძირითად პრობლემებზე რაც ურთიერთრჩენის ვალდებულებას, განქორწინებას, და ქორწინების ბათილად ცნობას ახლავს თან.

როგორც კვლევის შედეგების ნაწილში ავნიშნეთ, ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა გამოვლინდა ურთიერთრჩენის ვალდებულებასთან დაკავშირებულ

საკითხებში, როდესაც განქორწინების შემდეგ პირს არ ეკისრება შრომისუუნარო მეუღლის რჩენის ვალდებულება თუ მეუღლე შრომისუუნარო იყო დაქორწინებამდე რაც არასწორია და საჭიროა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა.

კანონმდებლობში არის ასევე, რამოდენიმე საკითხი რომელსაც არ ვეთანხმები, მაგალითად ქორწინების ბათილად ცნობის საკითხთან მიმართებაში მიმაჩნია, რომ ანგარებით შექმნილი ქორწინება ბათილად უნდა გამოცხადდეს, როდესაც კანონი ანგარებას არ მიიჩნევს ბათილობის მოტივად და თვლიის რომ ისეთი ქორწინება უნდა გამოცხადდეს ბათილად რომელიც მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით შეიქმნა.

კანონმდებლობაში არაფერია ნათქვამი რახდება მაშინ როდესაც ქალი ბავშვს არა ქმრისგან არამედ სხვა კაცისგან ელოდება, ჩემი აზრით, თუ ქალი ბავშვს ელოდება არა ქმრისგან არამედ სახვა კაცისან, კაცს თავისუფლად უნდა შეეძლოს ცოლთან განქორწინების მოთხოვნა, ყოველგვარი დამაბრკოლებელი გარემოებები არსებობის გარეშე.

ამ ყველაფერთან ერთად ვეთანხმები დ მისაღებია ის ფაქტი, რომ სასამართლო ორგანოსთან ერთად არსებობს მარეგისტრირებელი ორგანო და პირებს ყოველგვარი დავის და საქმის გაჭიანურების გარეშე შეუძლიათ მიმართონ მარეგისტრირებელ ორგანოს და ადვილად გადაჭრან პრობლემა, რაც ნაკლებ ხარჯებთან და დროსთან არის დაკავშირებული.

ასევე ჩემთვის მისაღბია ის ფაქტი, რომ საქართველოში მარტივად ხდება განქორწინება, რადგან ეს არის პიროვნების თავისუფლების გარანტი. რასაც ვერ ვიტყვით შვედეთზე სადაც განქორწინება საკმაოდ რთულია, რაც უამრავ პრობლემას იწვევს, რომელიც გამოიხატება ოჯახში უთანხმებით, რაც ძალადობის წინაპირობაა.

გამოყენებილი ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თბ., 1997;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;
4. გაფრინდაშვილი ლ., გენდერული კულტურა და თანამედროვეობა, თბ., 2015;
5. იზორია ბ., სანივთო სამართალი, თბ., 2003;
6. იზორია., ხუბუა., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, თბ., 2005;
7. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი მეორე, თბ., 2014;
8. ნადარეიშვილი გ., ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996;
9. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მეხუთე, თბ., 2000;
10. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, თბ., 2011;

11. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი, თბ., 2017;

12. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, თბ., 1998;

13. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, მეოთხე გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2004;

14. www.kvira.ge

15. www.tabula.ge

16. www.matsne.gov.ge